# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი (წლიწადი მეხუთე) | ხუთშაბათი, 9 ღვინობისთვე 1919 წ. № 218 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა — 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73



ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძე, შვილები დავითი, ნინო, თამარა და ქეთევან, რძალი თამარ დავითის ასული და სიძეები ალექსანდრე ნიჟარაძე, იქ. პავლე კვილაძე და ირაკლი ზედგინიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 7 ოქტომბერს სოფ. ბაკურციხეში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

**ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე ვაჩნაძე**

დაკრძალვა სოფ. ბაკურციხეში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში შაბათს 11 ღვინობისთვეს. ჩამოსასვლელი ვეჯინის ბაქანი.

2596 2 1

ღრმად დამწუხრებული ქეთევანი და გრიშა ნიჟარაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 7 ღვინობისთვეს გარდაიცვალა პირველის საყვარელი მამა და მეორესი სიმამრი

**ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძე**

დაკრძალვა სოფ. ბაკურციხეში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში შაბათს, ღვინობისთვის 11 ს.

2596 2—1

შვილები: მღვდელი პავლე, დეკანოზი დავითი იაშვილები და ანიკო ბეგიაშვილის შვილებითურთ, რძლები: ვარო და კატო, ძმა საბა დარჩიაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 7 ღვინობისთვეს სოფ. საქობოში გარდაიცვალა

**მართა გურგენის ასული იაშვილისა.**

დაკრძალვა მოხდება სოფ. საქობოში. 2597 1—1

ალექსანდრე, ნიკოლოზი და ვახტანგი იოსების ძენი აბაშიძენი, სოფიო იოსების ასული მაჭავარიანი და ნესტორ საყვარელიძე ჟორდანია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ პირველ საყვარელ დედის და მეორე მეუღლის

**[illegible] ასული აბაშიძე-ჟორდანიას**

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო განსვენებულის სამარეზე, დიდუბის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქმნება პანაშვიდი დღეს, ღვინობისთვის 9-ს, ნაშუადღევის 4 საათზე.



## განცხადება

**დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა საყურადღებოთ**

თანახმად ეროვნ.-დემოკრ. პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაციების დადგენილებისა, ახლო მომავალში, ქ. ქუთაისში გაიხსნება ახალგაზრდათა მეორე შეერთებული თავისუფალი

## ყრილობა.

ყრილობაზე დასწრება მანდატებით შეიძლება, რომელნიც მიიღებთ ქუთაისლები „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, და პროვინციელები—პროვინციაში. (დრო და ადგილი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დასავლეთ საქ. სტუდ. ორგან. თავმჯდ: ბიკ. აბესაძე.
ქუთაისის მოწაფეთა ორგ. თავმჯდომარე აკაკი ცქიტიშვილი. (5—4)

## განცხადება.

**ტყავის სამზადებელ ექსტრაქტებს აწვდის**

მსურველთ ქიმიური ქარხანა **ატომი** თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 204 ტელეფონი 1—52.

2591 2 2

## საჭიროა მასწავლებლები

მათემატიკისა, სიტყვიერებისა და უცხო ენებისა მარტვილის ვაჟთა გიმნაზიაში. მასწავლებელთ მიეცემათ გაორკეცებული ჯამაგირი. მსურველებმა მიმართონ საშუალო და უმაღლეს სკოლების მთავარ გამგეს, განათლების სამინისტროში. 2598 3—1

## სენაკის საერობო გამგეობისაგან

**გამოცხადებულია კონკურსი სახალხო სახლის—თეატრის პროექტის შესახებ**

1 პრემია 10 ათასი მან.

2 პრემია 5 ათასი მან.

## კონკურსის პირობები

ადგილი სწორ კუთხედი, უგრძესი მხარე 34 საჟენი. მოკლე 12, 40 საჟ. ერთ ერთ გრძელ გვერდისკენ უნდა ჩადგეს მახლობელ შენობის საძირკვლის კიდელი. შენობა უნდა მოთავსებული იყოს ადგილის ერთ ერთ კუთხეში. შენობის მოედანი არ უნდა აღემატებოდეს 176 საჟ. შენობაში უნდა მოთავსდეს ნათელი თეატრი—აუდიტორია 1000 კაცისათვის—ერთის ქანდარით, ხორით, სცენით და ტრიბუნით. სამოსის შესანახი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მუზეუმი ლაბორატორიით. სამი ოთახი საცხოვრებელი. სახლის გამგის ბინა—2 ოთახი. ფერადი უნდა დაიხატოს დიუმიან მასშტაბით (დიუმი—1 საჟ.) გეგმები 2 საჟ. დიუმში უნდა დამუშავებული იყოს როგორც მთავარი ისე გვერდების ფასადები.

**სტილი ქართული.** ვადა განცხადების დღიდან—1 თვე. პროექტები უნდა გამოიგზავნოს დევიზებით, პროექტებს თან უნდა ხლდეს კონვერტები, სადაც აღნიშნული იქნება ავტორთა გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი. პროექტები ავტორებს უკან აღარ დაუბრუნდებათ.

სენაკის საერობო გამგეობა
ტეხნიკური განყოფილება

2594 1—1

კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აუწყებს თავის მრევლს რომ კვირას 19 ღვინობისთვეს დანიშნულია წირვის შემდეგ შუადღის 12 საათზე, ყოფილ საეკლესიო სკოლის შენობაში

## სამრევლო კრება

განსახილველი საგნები: 1. წლის ანგარიშის მოსმენა, 2. მედავითნეს არჩევა და 3. დამატებითი წევრების არჩევა სამრევლო საბჭოში.

2599 2—1

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

## საზოგადო კრების

გაგრძელება დანიშნულია ხუთშაბათს, 9 ღვინობისთვეს საღამოს 8 საათზე საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 6).

902 1—1

## ვანო ბერძნიშვილის ფეხსაცმლის სახელოსნომ მუშაობა განაახლა.

ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრულის პასუხისმგებლობით
წყნეთის ქუჩა, № 28. ვანო ბერძნიშვილი.

200 4—1

## ქართული ლატარია.

დიდი დაბრკოლება გამოიარა ლატარიის გამგეობამ რათა გადაელახა ყოველი ძნელი საქმე და მით დასახული მიზანი განეხორციელებინა.

—

ქართული ლატარია ჩაუყრის მტკიცე საძირკველს ჩვენს უნივერსიტეტს და თეატრს.

—

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები.

203 1—1


## მზადდება [illegible]

იმ ხალხს, რომელიც დღეს საქართველოს მეთაურობს, არ ჰქონია არც ერთი საათი თავის შეგნებულ წარსულში, რომ სამშობლო უმაღლეს ღირებულებად გამოეცხადებინოს და მისი საზღვრების დაცვა თავის უპირველეს მამულიშვილურ მოვალეობად. ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილი, იგი არ ზოგავდა იარაღს და საშუალებას, რომ ეს ორი ცნება ხალხისა და მის მოზარდ თაობისათვის შეეძაგებინა, შეეძულებინა. აღწევდა კიდევაც მიზანს და ფაქტიურად დაშლილი ეროვნული სახელმწიფოს სხეული, ირღვეოდა ერის მორალურსა და პსიხიკურ სფეროშიც; ამით ჰქრებოდა სამუდამოდ შესაძლოებაც ეროვნული აღდგომის, გამთელების. ასე იღვწოდა დღევანდელი ჩვენი მმართველი და საქვეყნო პედის მესვეური ხალხი. ეს ხალხი რომ ღირსეული დამცველი ვერ იქნებოდა ეროვნული მემკვიდრეობის, რომ მას, საჭირო დროს, არ გამოაჩნდებოდა რწმენის სიმტკიცე და მაღალი მსხვერპლის გრძნობა ათასწლობით შექმნილი სამშობლოს ძვირფასი მიწა-წყლის დასაცავად,—ყველასათვის ცხადი და აშკარა იყო. არც დაგვჭირდა დიდი ხნის ლოდინი. მალე გამართლდა და ხორცი შეისხა ამ წინასწარმა ვარაუდმა, რასაც ფატალურის აუცილებლობით მოელოდა ყველა, ვინც კი იცნობდა ჩვენთა დღევანდელ მმართველთა მოღვაწეობას.

პირველი შედავება სომხებისა ჩვენი ეროვნული სამკვიდრებლის დასაჩემებლად ჩვენი მარცხით გათავდა: ბორჩალოს ნაწილი ფაქტიურად მტერმა ხელში ჩაიგდო. ვინც სომხეთის და საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას იცნობდა, მისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამხედრო უპირატესობა სომხეთთან, როგორც მატერიული შესაძლოებისა, აგრეთვე სუბიექტიური ღირსების მხრივაც. მაგრამ ამ ომში დამარცხებული მაინც ჩვენ დავრჩით, ომის მიზანთა მიღწევის მხრივ. თავის დროზედ აღინიშნა ჩვენი მთავრობის დანაშაული უდარდელობა, გაუფრთხილებლობა და უთაურობა, რომელიც იყო მიზეზი ამ ჩვენი დამარცხების. ხოლო ყველა ამ უდარდელობის და გაუფრთხილებლობის დედა მიზეზი კი იყო სწორედ ის ნიჰილიზმი, რომელიც ამ ხალხის ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სამშობლოსა და მის საზღვრებისადმი. ამ ხალხს არ სწამდა, მეტიც, ძაგდა საზღვრები; სამშობლოს მიწას მისთვის არ ჰქონდა პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა და ცხადი იყო რომ ამ პსიხიკის პატრონი თავის კანონიერ და უდავო მამაპაპეულ სამკვიდრებელს ამ ხალხისაგან ვერ დაიცავდა, რომელიც, ყველაფერ უფლების გარეშე, მაგრამ მტკიცე გარდაწყვეტილებით მოიწევდა რომ წაეღო, მიეთვისა და თავის სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია საქართველოს მიწა-ადგილი, რომელიც მას არასდროს არ ჰკუთვნებია.

მართლაც, დემოკრატიულ საქართველოს სოციალ - დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ დაიცვა სამშობლოს ტერიტორია; არ იყო ამისთვის რწმენა, გამჭრიახობა და სახელმწიფოებრივი ალღო. სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ-კი საქართველოს ტერიტორიას მაგრა ხელი დაადვა და ცდილობს საბოლოოდ სომხეთის საზღვრებში შეიტანოს.

და დეკემბრის ომით შექმნილ ფაქტიურ სანამდვილის ნიადაგზე დღეს ვაჭრობაა გამართული, საბოლოო შერიგებისა და შეთანხმების ჩამოსაგდებლად. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სომხობა ფაქტიურად ლორში არ იყო შემოსული და ჩვენს მთავრობას უფრო მეტი საბუთი ჰქონდა მტკიცე და შეურყეველი ყოფილიყო ბორჩალოს მაზრის ინტეგრალობის დაცვაში ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია, აცხადებდა ბ-ნ რამიშვილის, აგარონიანის და ხატისოვის თანადასწრებით, **რომ საქართველოს ლორზე არავითარი პრეტენზია არ აქვსო!**

ხოლო დღეს, როდესაც ბორჩალოს ამ ნაწილში, ჩვენი მთავრობის უსუსურობის წყალობით, სომხობა უკვე ფაქტიურად ჩადგა, საღაა იმოვის სამშობლოს რწმენით უძლური ჩვენი მთავრობა ძალასა და სიმტკიცეს რომ იყოს ურყევი დამცველი ქართველი ერის საშვილიშვილო სამკვიდრებელის? ჩვენ ამის იმედი არა გვაქვს და ქართველ ხალხს როგორც წინად, ეხლაც ვაფრთხილებთ ამის წინაალმდეგ. ხმებია, რომ მზადდება ეროვნული ინტერესის ღალატი; რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა **საქართველოს სამკვიდრებელს და ქართველი ერის საკუთრებას,** რომელიც მან გუშინ საქმით ვერ დაიცვა, დღეს ფორმალურად და იურიდიულად უთმობს და უსაკუთრებს სომხეთის დაშნაკურ მთავრობასო.

საჭიროა, თუ ეს მართალი არაა, მთავრობამ ოფიციალურად გაჰფანტოს ეს ხმები და მოგვცეს კატეგორიული რწმუნება, რომ საქართველოს სამკვიდრებელს და მთელი ერის საკუთრებას მთავრობის მხრივ დათმობის საფრთხე არ მოელის, თორემ ამ პუნქტში მთავრობისა და ქართველის ხალხის გზები სამუდამოთ ერთმანეთს დაშორდება.

როდესაც მთავრობა ერის სახელმწიფოებრივ უფლებას და საკუთრებას ვერ იცავს, ერი მას ნდობასა და პატივს ჩამოხსნის და თვით დაიცავს თავის თავს და თავის მამა პაპეულ სამკვიდრებელსაც.

უფრთხილდით მმართველებო!

## მუდმივი მერყეობა

ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანში დაემსგავსა კინემატოგრაფიულ სურათს. თვალის დახამხამებაში რომ ათასნაირად იცვლება; ასეთია ჩვენი მთავრობისა და მმართველი პარტიის მუშაობის სურათიც; ვამბობთ მთავრობისა და პარტიის, იმიტომ, რომ მთავრობა სულ უბრალო ნაბიჯებსაც ვერ სდგავს საოლქო კომიტეტისა, თუ ფრაქციის დაუკითხავად.

ხშირად უბრალო კომისარისა თუ სხვა ასეთი თანამდებობის პირის დანიშვნა დიდ შეხლა შემოხლის და უთანხმოების საგნად ხდება მმართველი პარტიის მათლ წრეებში.

ასეთს მოვლენას, რასაკვირველია, არც ერთს კულტურულ ქვეყანაში არ შეიძლება რომ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ჩვენ ხომ ისეთი რესპუბლიკაში არა, რომელსაც სოციალისტური მთავრობა ჰყავს და ეს მთავრობა როგორი სოციალისტი იქნებოდა, თავისებური წესები არ შემოეღო?

ეს თავისებურობა, მართალია, სასაცილოა და ამასთანავე ფრიად საზიანო, მაგრამ ეს მათ იქცევს დაართობს და ეს ხომ ამ მძიმე დროში დიდი საქმეა.

ასე რომ, ჩვენს მეწმევიკებს რომ უსაყვედურებდნენ—თქვენ რა სოციალისტები ხართ, ყოველივე, რასაც თქვენ ჰქმნით, არაფრით არ განირჩევა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესებისაგანო, არ არის სწორი. ჩვენი საკანონმდებლო ორგანო კანონმდებელ დაწესებულებას არ ჰგავს, მთავრობა უფრო კომიტეტია სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ვიდრე ნამდვილი მთავრობა, სასამართლო ადმინისტრაცია და სხ.—ყველგან ის არ არის, რაც უნდა იყოს, არამედ სულ სხვა, ერთგვარი დომხალი.

ფრიად მხიარული სანახავი იქნებოდა ჩვენი ცხოვრების სურათები, მას რომ კინემატოგრაფში ვჭვრეტდეთ და არა სინამდვილეში. შექმნიან რაიმე ახალს დღეს უწყებას ხოლო მეორე დღეს დაანგრევენ, ისევ ააშენებენ რაიმე მსგავსს, რომ მეორე დღეს კიდევ გააუქმონ; მოიწვევენ რომელიმე „საიმედო ამხანაგს" დიდს თანამდებობაზე და მისი ქებით ქვეყანას გააბრუებენ, არ გავა თვე, რომ კისრის ტეხით გადმოაგდებენ და მის მაგიერ ახალს ასევე „საიმედო" ამხანაგს დასვამენ, რომ მასაც იგივე უყონ.

საუბედუროდ, ასეთი ანარქია მართვა-გამგეობის ყოველს დარგში იდგამს ფეხს და საყოველთაო ხასიათს იღებს. უმაღლესი თუ დაბალი ორგანოები ერთნაირად შეპყრობილი არიან ამ სენით, რომელიც ჩვენ სახელმწიფოებრივობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს, კიდევ მეტი უბედურობა ის არის, რომ ჩვენი პოლიტიკის მესვეურებს სრულებით არ აქვს გათვალისწინებული მართვა-გამგეობის ასეთი წესების თუ უწესობების საშიშროება. მათ დიდ დადებით თვისებათაც კი მიაჩნიათ თავისი პოლიტიკის ასეთი მერყეობა და ცვალებადობა.

მათ არ აქვთ შეგნებული, რომ რეალური პოლიტიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დღეს ერთი ნაბიჯი გადადგა და ხვალ სრულიად უმიზეზოთ მისი საწინააღმდეგო, რომ დღეს ერთი მოვლენა ჩასთვალო უწყობად, ხვალ კი წესიერებად. გასაგებია როცა პოლიტიკის ხაზი იხრება ობიექტიურ პირობათა ზედგავლენით. ცხოვრების პირობათა შეგნება მათთან თავის მოქმედების შეფარდება მთავრობის უპირველეს ხელოვნებას შეადგენს. მაგრამ უბედურობაა, როდესაც ცხოვრება თავის გზით მიდის და მმართველობა კიდევ თავისით. ამ პირობებში, მას რასაკვირველია დიდი თავისუფლება აქვს მინიჭებული და შეუძლიან თავისი მოქმედება ყოველ წუთში სცვალოს და ჭკუაზედ ატრიალოს.

ცხოვრებაში დაშორებული პოლიტიკა ყოველთვის განწყენებულს ხასიათს ღებულობს. ასეთი უბედურობა სწვევია ჩვენს პოლიტიკას თავიდანვე და მას დასასრული არ უჩანს.

ასეთს პირობებში ძნელია ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობის რაიმე იმედი ვიქონიოთ. ფინანსიურ გასაჭირს, სურსათის ნაკლებობას, მრეწველობის დაცემას და სხ. ყოველივეს ჩვენ აქამომდე ომს მივაწერდით, ეხლა კი რევოლიუციას. მაგრამ ყველასთვის ცხადია რომ სხვაგან არც ომსა და არც რევოლიუციას საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი დამბლის დაცემა არ გამოუწვევია.

საჭიროა პოლიტიკის ხაზის საბოლოოდ გამორკვევა და შემუშავება. ან ევროპის დემოკრატიული პოლიტიკა, ან რუსული ბოლშევიზმი. ამათ შორის საშუალო „მენშევიკური" ხაზი, არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი. ჯვარედინ გზაზე დიდხანს ვერ დავყოფთ. დროზე უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი პოლიტიკის მიმართულება.

## ჩიჩერინის მოწოდება

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ბ. ჩიჩერინმა გამოაქვეყნა მოწოდება აზერბაიჯანის, დაღესტანის და საქართველოს გლეხებისა და მუშებისადმი მიმართული. სანამდი შევეხებოდეთ იმას, თუ რას სწერს ნარკომი თავის მოწოდებაში, აღსანიშნავია რომ საბჭოთა რუსეთი პირველად მიმართავს ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს ასეთი მიმართვით. წინათ ასეთი მოწოდებები უფრო ანონიმური ხასიათისა იყო, არც ერთი ნარკომი არ აწერდა ხელს და აგრეთვე არც ამდენ კონკრეტიულ მასალას შეიცავდა.

დენიკინის წინ სვლამ და მთელი სამხრეთ რუსეთის ტერიტორიის დაკავებამ საბჭოთა რუსეთის მეთაურებს შიში მოჰგვარა, რომ შეიძლება მალე მოსკოვის მესამე წითელი ინტერნაციონალი სამუდამოთ დაინგრეს და დამარცხების წინ გრძნობაში ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ როგორმე შეამოკლონ თავიანთი მტრების რიცხვი.

ჩიჩერინის მოწოდებას საქართველოს დაღესტანის და აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებისადმი წინ უძღოდა მთელი რიგი ნოტებისა, რომლითაც მან მიმართა ლატიშებს, ლიტოველებს, ესტონელებს ფინნებს და სხვა დასავლეთის პატარა ერებს, რომელნიც საბჭოთა რუსეთს ებრძვიან.

ჩიჩერინი სთხოვს ამ ერებს დაიწყონ მოლაპარაკება ზავის შესახებ და პირდება დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის გარანტიებს. არ უნდა ითქვას, რომ ამ გვარი კომპრომისული გამოსვლები ჩიჩერინის საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოებრივ კრიზისს აჩვენებენ. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაჰკარგა იმედი, რომ სოციალისტური რევოლიუციის ცეცხლით მთელი საქვეყნოს აანთებდა—მისი აგრესიული ტონი ამ უკანასკნელ დროს შეიცვალა და არ თაკილობს პატარა ერების „ბურჟუაზიულ" მთავრობებთან დაიწყოს მოლაპარაკება.

აქედან აშკარაა, რომ კომუნისტურ რუსეთისთვის იწყება ახალი ეპოქა—ძველი ხვიადი, მესიანისტური ეპოქა შეტევისა და ქვეყნის დაპყრობას უკ-

# უკანასკნელი ცნობები

ახალ არჩევნებში პრეზიდენტ ვილსონის კანდიდატურის წამოყენება საეჭვოდ მიაჩნიათ.

ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა ვერსალის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შესდგება.

სპარსეთის შაჰი პარიზს ჩავიდა.

ლეიპციგში დამოუკიდებლებმა გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს და განაცხადეს, რომ კომუნისტურ აჯანყების დრო წავიდა.

ლიტოველის კაბინეთი გადადგა.

ფინეთმა ბალტიის პროვინციებთან მოლაპარაკება დაიწყო.

სამხრეთის ფრონტზე ბოლშევიკებმა სევსკი აიღეს.

ჩრდილოეთის ფრონტზე ბოლშევიკები იხევენ.

მოხალისეებმა აიღეს ვორონეჟი და სადგური გრავსკაია.

დენიკინის ჯარი ეშრაელებს არბევს.

—

თერგის ოლქში, გროზნის მახლობლად უზუმ ხაჯის ჯარმა დაამარცხა გენერალ შკუროს 4 პოლკი. ჩენგუშებმა ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი, მათში 6 მძიმე, 31 ტყვიის მფრქეველი და 4.000 თოფი.

—

დამფუძნებელ კრებამ სამშაბათის სხდომაზე სენატორთა სია დაადასტურა. სენატის თავმჯდომარედ არჩეულია ხელთუფლიშვილი.

---

ვე არავინ უღვიძებს ილუზიებს და ეხლა მხოლოდ საკუთარ თავის გადარჩენის იმედით არის განზრახული იმგვარი მოწოდებები, რომელზედაც დღეს ჩვენ ვწერთ.

ტონი ჩიჩერინის მოწოდების მაინც აღნიშნავს ძველ სტილს, კომუნისტების ფრაზეოლოგია, არ გამოცვლილა და თავშეკავებულ მიმართვაშიც ხშირათ ისტერიული ტონი მაინც მოსჩანს. რა აზრი აქვს ჩიჩერინის მიმართვას და რა შედეგს მიაღწევს ის?

ჩვენ არაფერს ვიტყვით აზერბაიჯანის და დაღესტანის მუშების შესახებ—ამ მუშების იმედი საბჭოთა რუსეთს ტყუილათ აქვს—ისე როგორც ეფემერულ ყვითელ აზიის მუშებისა და გლეხების ამ მშრომელ ხალხს კომუნისტების ენერგიული ხმა კი არა რისხვის დღის ანგელოზის საყვირიც ვერ გააღვიძებს, და ვერ მისცემს იმ შეგნებას, რომ მესამე ინტერნაციონალის დამყარება შესძლონ.

რაც შეეხება საქართველოს, აქაც აშკარაა როგორ პასუხს უნდა ელოდეს ჩიჩერინი.

საბჭოთა მთავრობის სიტყვა იმდენად საეჭვოა და უიმედო და მოკლებულია მორალურ საფუძველს ვისმეს ბრალი დასდვას, ან რაიმე მოლაპარა- [illegible] საქართველოს მთავრობას გერმანიასა და ინგლისთან მოლაპარაკებაში, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკში, რომ თვითონ ჩიჩერინი ელაპარაკა გერმანიის იმპერიალისტებს და განა ყოველ დღე ანტანტა არ იღებს კომუნისტების ნოტებს, რომელშიაც ბოლშევიკები პირდებიან ანტანტის იმპერიალისტებს ყოველგვარ ეკონომიურ კომპენსაციებს?

ჩიჩერინი პირდება საქართველოს დამოუკიდებლობას, თუ საქართველო მადლიერი იქნება თავის მთავრობის, მაგრამ რა აზრი აქვს ამ დაპირებას—აქვე მოწოდებაში ეს მთავრობა დახასიათებულია, როგორც მოღალატე და განა ვინმეს დაეჭვება, რომ ჩიჩერინის ლმობიერი ტონი, მხოლოდ სისუსტის მაჩვენებელია, თორემ განა ერთ დროს ის თვითონ არ აგზავნიდა კავკასიაში სტეფან შაუმიანს კავკასიის დასაპყრობათ?..

ამიტომ ჩიჩერინის მოწოდებას შეუძლებელია რაიმე რეალური შედეგი მოჰყვეს—ეს მოწოდება მხოლოდ ჰნიშნავს საბჭოთა რუსეთის საშინელ კრიზისს.

ჯერ როცა კიდევ მოსკოვი არ არის აღებული კომუნისტური მთავრობა ასე სასტიკათ მოიღუნა—რა იქნება მაშინ, როცა მოსკოვს დენიკინი აიღებს?

ასე იოლათ ანებებს თავს სოვნარკომი მსოფლიო რევოლიუციის მესიანიზმს და თავის გადარჩენის იმედში ყოველ დღე ახალ კომპრომისებზე მიდის...

ყოველ შემთხვევაში, ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის არ არის არავითარი წერტილი, რომლის გარშემო შეიძლებოდეს რაიმე მოლაპარაკების წარმოება.

სხვას, რომ თავი დავანებოთ მოსკოვის მთავრობის ციხეში დღესაც იმყოფებიან საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები და ასეთ ხალხთან განა შეიძლება რაიმე ურთიერთობა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მენშევიკები არ აყვებიან თავის ჩვეულებრივ გულის თქმას და იმოდენ სიდინჯეს გამოიჩენენ, რომ არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ მოსკოვის მთავრობის ლათაიებს.

## მოსკოვის მთავრობის მოწოდება

### აზერბაიჯანის, დაღესტნის და საქართველოს მუშათა და გლეხებისადმი.

ამხანაგებო, აზერბაიჯანის დაღესტანის და საქართველოს მუშებო და გლეხებო!

მეფის გენერალი დენიკინი მოდის კავკასიაში რომ მეფის უღელი დაგადგათ. მან უკვე თქვენი მხარე რუსეთის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. მთლიან რუსეთად მას მიაჩნია ის ქვეყანა, რომელშიაც თქვენ რომანოვების მეფობის დროს, როგორც ნაციონალური ერთეული ჰკარგავდით სახეს. იტანჯოდით მეფის უღლის ქვეშ თანდათან ჰკარგავდით ადამიანის სახეს და ხდებოდით კაპიტალის მონებად. მაგრამ, ამხანაგებო მუშებო და გლეხებო ეკითხებით თუ არა თქვენს თავს, თუ როგორ შეუძლიან დენიკინს თქვენკენ წამოსვლა, როდესაც თქვენი ქვეყნები ინგლისის პროტექტორატის ქვეშ არიან გამოცხადებულნი. დენიკინი ხომ ინგლისის მორჩილია. ინგლისს დენიკინის კოლჩაკის და მეფის გენერალთა საშუალებით სურს რუსეთის რევოლუციის ჩახრჩობა. და ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ დენიკინი მოდის თქვენზე და ეს ინგლისმაც იცის. ინგლისი შექმნილ მდგომარეობის გამო იძულებულია დასტოვოს კავკასია. სტოვებს რა კავკასიას, ინგლისს ჰსურს თქვენი ბედი სანდო ხელებს ჩააბაროს. ეს სანდო ხელები მეფის გენერალი. მიზანი ის [illegible] შეკავშირება თქვენი ძმებს რუს მუშებს და გლეხებს, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურით უკვე უახლოვდებ იანშრომის კაპიტალისგან გამარჯვებას.

თქვენი მმართველი წრეები, რომელთაც ეშინიანთ ამ დიქტატურის, სულ მუდამ იმას იძახდნენ რომ ბოლშევიზმი მიდის ანარქიისკენ, მონარქიისკენ და სხვა.

ამ შიშის გამო, თქვენმა მთავრობებმა მიიღეს ჯერ გერმანეთის პროტექტორატი, ხოლო შემდეგ ინგლისის. მაგრამ აი ინგლისი, რომელიც გიცავდათ თქვენ დღემდის ბოლშევიზმის გავლენისაგან, პროლეტარიატის დიქტატურისაგან, ეხლა თქვენ ბედს დენიკინს აბარებს.

რისგან არის, რომ თქვენი მმართველი წრეები, რომლებიც დღემდის ინგლისის პროტექტორატით სცხოვრობდნენ ახლა ომს უცხადებენ დენიკინს ინგლისის მიერ გამოგზავნილ ჯალათს? იმიტომ, რომ ამ ჯალათის განზრახვანი კარგად იციან თქვენმა მთავრობებმა. მათ იციან, რომ დღეს თქვენ რესპუბლიკების მმართველი ხალხი გენერალ-გუბერნატორებად შეიცვლება ან და თქვენში მეფის ძველი რეჟიმი გამეფდება.

ამ შემთხვევაში თქვენს მმართველ წრეებს უფრო თავიანთ თავის ეშინიანთ.

შესაძლებელია, რომ ეხლაც თქვენი მმართველები ინგლისის ზეგავლენით დენიკინს შეუთანხმდებიან შესაძლოა, რომ თქვენმა მმართველებმა ინგლისის კარნახით თქვენ განგიცხადონ: რომ თუ არა დენიკინი, სულ ერთია საბჭოთა რუსეთი თვის პროლეტარიატის დიქტატურით, არღვევს თქვენს მშვიდობიან ცხოვრებას და სხ. შესაძლოა, რომ საბჭოთა რუსეთის შიშით თქვენმა ბატონებმა ფაბრიკანტებმა და ინტელიგენციამ დაბეჯითებით მოითხოვს დენიკინის წინააღმდეგ არ გამოსვლას და მის პირობების მიღება ოღონდ კი ბოლშევიკებისგან გადარჩნენ. ყველაფერი ეს შესაძლებელია, ამის მიღება შეუძლიანთ, როგორც ინგლისს, ისე თქვენს მმართველ წრეებს, რომლებიც დღემდის ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდნენ და რომელთაც გაყიდეს თქვენი უფლება.

რომ ეს არ მოხდეს, რომ კვლავ თქვენ თქვენმა მმართველმა ერებმა არ მოგატყუილონ, ჩვენ თანადროულად მიგვაჩნია მთელის ქვეყნის წინაშე განვაცხადოთ: რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერალიური რესპუბლიკას არასოდეს არ აუღია ხელში იარაღი სხვის კუთვნილ ადგილის დასაპყრობად ან და ძალით საბჭოთა მთავრობის დასამყარებლად უცხო ტერიტორიაზე.

იგი მხოლოდ თავს იცავდა, თავს იცავს და დაიცავს იმ მტერთაგან, რომელთაც მიზეზად დაუსახავთ რუს მუშათა სისხლით მოპოვებულ თავისუფლების მოსპობა.

საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მიჰმართა იმპერიალისტურ მთავრობებს (რომლებიც არსებითად დამნაშავენი არიან ამ ომის) წინადადებით რომ დაეწყოთ მოლაპარაკება სამხედრო მოქმედების შესაწყვეტად.

საბჭოთა რუსეთი აცხადებდა რომ მას ჰსურს წავიდეს ეკონომიურ მნიშვნელობის მეტად სერიოზულ დათმობაზე, ოღონდ კი ბოლო მოღებოდა სისხლის ღვრას მაგრამ ამაოდ.

ეხლა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ რა ყოველივე ამას კერძოდ თქვენ რესპუბლიკების შესახებ ვაცხადებთ. ამხანაგებო, აზერბაიჯანის, დაღესტანის და საქართველოს მუშებო და გლეხებო.

საბჭოთა რუსეთს არ აქვს განზრახვა თქვენს წინააღმდეგ იარაღით ხელში წამოვიდეს და თავის მთავრობა აღადგინოს. იგი მტკიცედ იცავს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. მან ეს დაამტკიცა თვით უჩამორჩენილეს ბაშკირების და ყირგიზებისადმი ავტონომიის მინიჭებით.

და თუ კავკასიის მაჰმადიანები და ქართველები კმაყოფილნი ხართ თქვენს რესპუბლიკათა მმართველობით, იცხოვრეთ მშვიდობით, თვით გამოერკვიენით და აღადგინეთ ჩვენთან მეზობლური დამოკიდებულება.

საბჭოთა რუსეთი მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ აზერბაიჯანის, დაღესტნის და საქართველოს მუშები და გლეხები არ მისცემენ ფეხქვეშ გასათელად თავიანთ თავისუფლებას მეფის გენერალს—ინგლისის ჯალათს დენიკინს.

რუსეთის ფედერალისტულ საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარი გიორგი ჩიჩერინი.

## დამფუძნებელი კრება

ოქტომბრის [illegible]

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.

მდივნობს დამფუძნებელ კრების მდივნის ამხანაგი ქ-ნი ქრისტინე შარაშიძის ასული.

კრება იხსნება 12 საათზე

**მდივანი** (კითხულობს შემდეგ დღიურ წესრიგს).

1. განხილვა დეკრეტისა—სახაზინო რკინის გზის საექიმო-სასანიტარო და საეკლესიო ნაწილისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 1.132.422 მან. კრედიტის გახსნის შესახებ. მომხსენებელია ივ. ჰავჰანიძე.
2. განხილვა დეკრეტისა—ადგილობრივ თვითმართველობათა სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლების გაფართოების შესახებ. მომხსენებელია ნიკ. ელიავა.
3. მეორე (მუხლობრივი) განხილვა საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებისა. მომხსენებელია დიომ. თოფურიძე.
4. მეორე (მუხლობრივი) განხილვა—1915 წლის თებერვლის 2-ს კანონის (გერმანელთა, ავსტრო-უნგრელთა და ოსმალთათვის უძრავი საკუთრების შეძენის აკრძალვის) გაუქმების კანონპროექტისა. მომხსენებელია სერ. ჯაფარიძე.
5. შეკითხვა—ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისადმი ქ. ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ.

**თავმჯდომარე**. დღიურ წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ივ. ჰავჰანიძეს.

**ივ. ჰავჰანიძე**. ს. დ. ფრაქციის სახელით მოვითხოვ დღიური წესრიგი შემდეგ ნაირად იქნეს შეცვლილი. პირველად დასმული იქნეს დეკრეტი სენატორების დამტკიცების. მეორედ სენატორების ჯამაგირების მომატება და შემდეგი დარჩეს ისე, როგორც არის წესრიგში.

**თავმჯდომარე**. წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ბ. ასათიანს.

**ალექსანდრე ასათიანი** (ერ. დემ.) წესრიგში მოთავსებულია ეროვ. დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა. იგი იყო შემოტანილი 3 კვირის წინად. შემდეგ ჩვენ თვით მოვხსენით, რადგან საჭიროდ დავინახეთ ზოგიერთ დეტალების გაცნობა. ეხლა ჩვენ ეს უკვე შევასრულეთ და ვინაიდან საქმეც სასწრაფოა რადგან იგი შეეხება სრულიად უსამართლოდ ციხეში მსხდომ პირებს, ამიტომ ერ.-დემ. ფრაქციის სახელით რომ ეს შეკითხვა დღესვე იყოს განხილული. თუ ამ კრებაზე მის განხილვა ვერ მოესწრო მაშინ ვითხოვდი, რომ საღამოზე დანიშნულიყო იგი ან და დაინიშნოს საგანგებო კრება, რომელზედაც ეს საკითხი იქნება განხილული.

**თავმჯდომარე**. აქ ორი განცხადება გაქვთ პირველი შემოტანილია სოც. დემოკრატიულ ფრაქციის სახელით. ხოლო მეორე ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით. სოც. დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს, რომ პირველად განხილულ იქნეს დეკრეტი საქართველოს სენატის დაარსების შესახებ მეორედ ჯამაგირების მომატება. დანარჩენი დარჩეს წესრიგის თანახმად. 2 განცხადება. ეროვნ. დემოკრატიულ ფრაქციისა მოითხოვს რომ შეკითხვა რომელიც დღიურ წესრიგშია დასმული დღესვე იქნას განხილული და თუ დღესვე ვერ მოესწრება მაშინ მის განსახილველად საგანგებო კრება დაინიშნოს.

კენჭს უყრი პირველ წინადადებას ვინ არის წინააღმდეგი?

მიღებულია.

კენჭს უყრი მეორე წინადადებას. ვინ არის მომხრე რომ შეკითხვის განსახილველად საღამოს დაინიშნოს კრება. (ს. დ. ფრაქციაში მომხრე მხოლოდ კ. ნინიძე).

ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება უარყოფილია. ვინ არის მომხრე რომ საგანგებო კრება დაინიშნოს? ვინ არის წინააღმდეგი! წინააღმდეგი მთელი ს. დ. ფრაქ. გარდა ნინიძისა) მაშასადამე შეკითხვის განხილვა ჩვეულებრივის გზით მოხდება, საგანგებო კრება არ დაინიშნება.

**სენატორების ჯამაგირების მომატება**

**ს. ჯაფარიძე** როგორც მოგეხსენებათ დამფუძნებელ კრებამ აირჩია სარეკომენდაციო პირები, რომელიც მიანდო სასენატორო კანდიდატების დასახელება. როდესაც კომისია შეეკითხა სხვა და სხვა სასენატორო პირებს მათ მიერ სენატორობაზე სურვილის განცხადების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მრავალი მათგანი ვერ მიიღებდა წინადადებას, რადგან ჯამაგირი მათ მეტად მცირე ექნებოდათ. საფინანსო [illegible] კითხი და იგი იმ დასკვნამდის მივიდა რომ თუ ჩვენ გვინდა სასამართლო მტკიცე ნიადაგზე ავგოთ მათ თვიური ჯამაგირი უნდა გაუდიდოთ. ეხლა სენატის თავმჯდომარეს თვიურად ენიშნება ნაცვლად 4.800—9 ათასი მან. მის ამხანაგს ნაცვლად 3.900 მ.—8 ათასი.

სენატორს ნაცვლად 3.600—7.200 პროკურორს ნაცვლად 3.900—8 ათასი მის ამხანაგს ნაცვლად 3.400 მან. 7 ათასი. ამ მოსაზრებით იურიდიული კომისია სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს შემდეგი დეკრეტი. (კითხულობს დეკრეტს, დეკრეტი უცვლელად არის მიღებული).

**თავმჯდომარე**. საკომენდაციო კომისიის სახელით მომხსენებელი გრიგოლ გიორგაძე. (გიორგაძე დარბაზში არ აღმოჩნდა) მის მაგივრად მომხსენებლად გამოდის ს. ჯაფარიძე.

**სენატორთა სია**

**ს. ჯაფარიძე**. სარეკომენდაციო კომისია უდგენს დამფუძნებელ კრებას შემდეგ სიას:

სენატის თავმჯდომარედ—ნაფიც ვექილს დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილს.

სენატის თავმჯდომარის ამხანაგად—თბ. საგანგებო სასამართლო თავმჯდომარე ივანე მიხეილის ძე ჯაფარიძეს.

სენატორებად სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში:

1. ნაფიც ვექილს ივანე ივანეს ძე ზურაბაშვილს.
2. ნაფიც ვექილს ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვს.
3. სასამართლო პალატის წევრს სოლომონ გიორგის ძე მიქელაძეს.
4. ნაფიც ვექილს—გიორგი მაღნარაძეს.

სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრატიულ განყოფილებაში:

1. ქუთაისის ქალაქის თავს იურისტს დიმიტრი ილარიონის ძე კალანდარიშვილს.
2. იუსტიციის მინისტრის ყოფილ ამხანაგს გრიგოლ ივანეს ძე გველესიანს.
3. ნაფიც ვექილს მიწადმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტს ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძეს.

სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში:

1. იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს ნიკოლოზ მოსეს ძე ქიქოძეს.
2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრს მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილს.
3. ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრს ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანს.
4. სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს იოსებ ნიკოლოზის ძე რონიაშვილს.
5. სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი დიმიტრის ძე სოლომონ ერისთავს.

**თავმჯდომარე**. სიტყვა ეკუთვნის შალვა მესხიშვილს.

**შალვა მესხიშვილი**. ს.-ფ. ფრაქციის დავალებით უნდა განვაცხადო, რომ იმ შემადგენლობას, რომელიც წარმოდგენილია სარედაქციო კომისიის მიერ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, მწუხარება გამოვსთქვათ, იმის გამო, რომ ამ სიაში ამა თუ იმ მოსაზრების გამო არ მოხვდენ ისეთი პირნი, რომელნიც მეტად სასარგებლონი იქნებოდენ სამართლის საქმეში.

**გიორგი გვაზავა**. (ერ. დემ.) ბატონებო! ამ სიაში ბევრი ისეთი პირი არ მოხვედრია, რომელიც უაღრესად საჭირო იყოს ჩვენ ივის. რასაკვირველია ჩვენ ამ განცხადებით ვერაფერს მივაღწევთ, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს აქედან განვაცხადოთ და მწუხარება გამოვსთქვათ მის გამო.

**რ. არსენიძე**. ჩვენ სავსებით მხარს უჭერთ სარეკომენდაციო კომისიის მიერ წარმოდგენილ სიას. მართლა მოიპოვებიან ბევრი უკეთესი პირები, მაგრამ ისინი უფრო საჭირონი არიან სხვა სახელმწიფო საქმეებში.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა აქ წარმოდგენილი პირები სავსებით დაიცავენ იმ სიმაღლეს, რომელზედაც უნდა იდგეს სენატი და ამ მხრივ გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც ამყარებს მათზე დამფუძნებელი კრება.

**თავმჯდომარე**. სხვა სია არ გახლავთ.

არჩევნები უნდა მოხდეს ფარული კენჭის ყრით, ამიტომ თვითეულ დეპუტატს დაურიგდათ აქ წაკითხული სია. თვითეულმა დეპუტატმა უნდა დააწეროს ბარათზე [illegible] ლით გვარების გვერდით [illegible] ძლევს თუ [illegible]

(ხდება ფარული ხმის მიცემა).

**თავმჯდომარე**. შედეგებს, რეგლამენტის თანახმად, ითვლის მდივანი თავმჯდომარის მიერ საგანგებოდ მოწვეულ წევრებს თანადასწრებით. ვთხოვ ბ. ნიკო ნიკოლაძეს, ვლასა მგელაძეს და სამსონ ფირცხალავას, დაესწრონ ხმების დათვლას (ვლასა მგელაძე დარბაზში არ აღმოჩნდა), ვლასა მგელაძის მაგიერ ვთხოვ ნიკო ელიავას (ხდება ხმების დათვლა).

**თავმჯდომარე**. არჩევნების შედეგი ასეთია: ყუთებში აღმოჩნდა სულ 59 ბარათი. 1 გაუქმებულია, რადგან დეპუტატის გვარი მოეწერა. 2 თავს იკავეს.

სენატის თავმჯდომარემ—ნაფიც ვექილმა დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილმა მიიღო 56 ხმა, სენატის თავმჯდომარის ამხანაგმა, თბილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარემ ივანე მიხეილის ძე ჯაფარიძემ 56 ხმა.

**სენატორებად სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში.**

1. ნაფიცმა ვექილმა ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილმა 53 ხმა,
2. ნაფიცმა ვექილმა ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვმა 54 ხმა,
3. სასამართლო პალატის წევრს, სოლომონ გიორგიძე მიქელაძემ 55 ხმა,
4. ნაფიცმა ვექილმა გიორგი ასიდორეს მაღნარაძემ 46 ხმა.

**სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრატიულ განყოფილება.**

1. ქუთაისის ქალაქის თავმა იურისტი დიმიტრი ილარიონის ძე კალანდარიშვილმა. 51 ხმა
2. იუსტიციის მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა გრიგოლ ივანეს ძე გველესიანმა—54 ხმა.
3. ნაფიცმა ვექილმა მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტმა ვლადიმერ ნესტორისძე ქუთათელაძემ.—42 ხმა.

**სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში:**

1. იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ნიკოლოზ მოსესძე ქიქოძემ—45 ხმა.
2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრმა მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილმა.—50 ხმა.
3. ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრმა ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანმა.—42 ხმა.
4. სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ იოსებ ნიკოლოზის ძე რონიაშვილმა.—42 ხმა.
5. სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი დიმიტრის ძე სოლომონ-ერისთავმა.—55 ხმა

**თავმჯდომარე**. შემდეგი საკითხის შესახებ მომხსენებელი გახლავთ ივ. ჰავჰანიძე.

განხილვა დეკრეტისა რკინის გზის საექიმო სასანიტარო და საეკლესიო ნაწილისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 1.132.422 მ., კრედიტის გახსნის შესახებ.

**მომხსენებელი**. ივ. ჰავჰანიძეს აცნობს კრებას იმ მიზეზებს, რომელიც აც გამოწვეულია დეკრეტი და ითხოვს კრებისგან 1.132.422 მ., გახსნას დეკრეტი კამათს არ იწვევს. იგი უცვლელად არის მიღებული. დამფუძნებელ კრების მიერ.

**თავმჯდომარე** შემდეგ საკითხის შესახებ სიტყვას თხოულობს გ. გვაზავა.

**გ. გვაზავა**. ბატონებო! შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს დამფუძნებელმა კრებამ არის დეკრეტი ადგილობრივ თვითმმართველობათა სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლების გაფართოების შესახებ. უნდა მოგახსენოთ რომ საკითხი მეტად რთულია. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელ პირობებში საჭიროა ამ მხრივ თვითმმართველობათა უფლების შემცირება და არა გაფართოება.. ამიტომ მე მოვითხოვდი ამ საკითხის გადადებას და შემდეგში მის გატარებას, არა დეკრეტის სახით არამედ კანონპროექტის სახით, რადგან საკითხი მეტად რთულია და ასე მის აჩქარებით გადაწყვეტას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს.

**რ. არსენიძე** (ს.-დ.) დეკრეტი ეხება იმ სანიტარულ გადასახადებს რომლის დაგვიანება არ შეიძლება ამიტომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მის კანონპროექტად გარდაქცევას მხოლოდ მოვითხოვთ, რომ იგი საბოლოო დასამუშავებლად დაუბრუნდეს თვითმმართველობის კომისიას.

დეკრეტი კენჭის ყრით უბრუნდება თვითმმართველობის კომისიას.

**მეორე (მუხლობრივი) განხილვა საქართველოს სახელმწიფო ბანკის წეს**[illegible]

**მომხსენებელი** [illegible] თოფურიძე კითხულობს მუხლობრივ ბანკის წესდებას.

სამ საათზე დარბაზში კვორუმი აღარ არის. ამიტომ კრება სწყდება.

შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევისათვის განხილულ იქნება დღიურ წესრიგში დარჩენილი საკითხები.

## ქრონიკა

**გენ. ჰარბორდი ბ-ნ აკაკი ხოშტარიას რაუტზედ**. ამერიკის საგანგებო რწმუნებული გენ. ჰარბორდი, მის თბილისში ყოფნას დროს, 6 ღვინობისთვეს ნაშუადღევის 5 საათზედ მოწვეულ იქმნენ რაუტზედ ქ-ნ მინად. ეგნ. ასულის და ბ-ნ აკაკი ხოშტარიას მიერ, მათ ბინაზედ სერგიევის ქუჩაზედ. რაუტზედ ბრძანდებოდნენ აგრეთვე, ანტანტის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში, პოლკ. ჰასკელი, მეულლითურთ ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი მისტერ ოლივერ უორდროპი, მისიის წევრთა დ. ვეტომის და მილიერან გრანდის თანხლებით, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. ნ. რამიშვილი, მიწად-მოქმედების ბ. ნ. ხომერიკი, სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია და ბ-ნი ე. გეგეჭკორი რაუტს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრენ. რაუტზე, რომელზედაც მღეროდენ სახელმწიფო თეატრის მომღერალი ი. ც. სარაჯიშვილი. ქ-ნი თ. გ. გვათუა მხიარულად ჩაიარა და საღამოს 7 ნახ. საათზედ დასრულდა. რაუტს 70-ამდე პირი დაესწრო, მათს შორის 30 ამერიკელი. გენ. ჰარბორდი რაუტიდან პირდაპირ სადგურზედ გაემართა, ბათომში გასამგზავრებლად და იქიდან სტამბოლის გზით პარიზისაკენ.

**საქართ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის** კომიტეტის თავმჯდომარე თ-დი დიმიტრი გიორგის ძე აბხაზი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

**ბოლშევიკ ლიდერების შეპყრობა**. შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო რაზმმა დააპატიმრა ბოლშევიკების ლიდერი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი.

**ეროვნულ მამულების მუშათა ხელფასი**. სატარიფო პალატის წევრს ლ. ბრეგვაძეს მიენდო ტარიფების

პროექტები ეროვნულ მამულებში მოსამსახურეთა და მუშათა ხელფასის შესახებ. ამ პროექტების შედგენა წინ უნდა აწარმოვოს ეროვნულ მამულების გამგეობასთან ერთად.

◆ **სატრანსპორტო საზოგადოებაში.** მთავარ ბუღალტერად საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისა დაინიშნა კორძაია.

— სატრანსპორტო საზოგადოება სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურთ მანქანაზედ გადამწერის ადგილი მიიღონ, მობრძანდენ კვირას, მიმდინარე თვის 12-ს, დილის 9 ს. საზოგადოების შენობაში (სერგეევის ქ. № 8) გამოსაცდელად, რადგან მსურველთა შორის დანიშნულია შეჯიბრება. გამოსაცდელად დაშვებულ იქნებიან ყველანი მიუხედავად, მისა — აქვთ თუ არა შესატანილი თხოვნა.

◆ **ფქვილის მიღება.** ექვს ოქტომბერს ბათომიდან საქართველოს სასურსათო საბჭოს სახელზე 28 ვაგონი ფქვილი მოვიდა.

◆ **სურსათი დონისთვის.** დონის მთავრობის წარმომადგენელმა შეიძინა სხვადასხვა სანოვაგე საქართველოში დონისათვის საქონლის გაცვლის პრინციპზე.

◆ **სენატის თავმჯდომარეს.** იუსტიციის მინისტრმა ბ. გეგეჭკორმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ახლად არჩეულ სენატის თავმჯდომარეს ხელთუფლიშვილს, და სთხოვა, რათა მოკლე ხანში ჩამოვიდეს თბილისში და სენატის მოწყობას შეუდგეს.

◆ **ყოფილ აფიცერთა დამხმარე საზოგად.** გამგეობა იწვევს წევრებს კანტორაში საჭირო ცნობების მისაღებად. ცნობების მიღება შეიძლება მდივანთან 10—2 ს. (რუსთველის პროსპექტი № 24).

◆ **ჟურნალ „განათლების" გამოსაცემად.** განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის გამგეობას აღმოეჩინოს 30,000 მან. დახმარება პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების" გამოსაცემად.

◆ **ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციას.** განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ყოველთვიურად აღმოეჩინოს [illegible] დახმარება ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციას.

◆ **მასწავლებელთა სახლი.** განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მოაწყოს თბილისში მასწავლებელთა სახლი, სადაც მიეცემათ დროებითი ბინები პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებლებს. იქვე მოთავსებული იქნება ჟურნალ „განათლების" რედაქცია, ცენტრალური პედაგოგიური ბიბლიოთეკა, ლექციების წასაკითხი აუდიტორია, ეროვნულ მუზეუმთან არსებული საჯარო წიგნთსაცავი და სხ. ამის გამო სამინისტრომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბინა გათავისუფლების შემდეგ ხსენებულ მიზნისათვის მათ გადაეცეთ.

◆ **დანიშვნა.** რაფ. ხუციშვილი ფიზიკურ ობსერვატორიის სამაგნიტო სადგურის გამგედ დაინიშნა.

◆ **პოლკ. ჰასკელის წასვლა.** 7 ღვინობისთვეს საჩქარო მატარებლით თბილისიდან პარიზს გაემგზავრა მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი მეუღლით. სადგურის საგანგებო დარბაზში საღამოს 7 საათისათვის თავი მოიყარეს მთავრობის თავმჯდომარის მოად. ბ. ევ. პ. გეგეჭკორმა, მინისტრებმა: ბ.ბ. რამიშვილმა, ხომერიკმა, მინისტრის ამხანაგმა გედევანიშვილმა, გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ჰიჰინაძემ, რესპუბლიკის ლაშქარის შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიაძემ; მანდილოსნებმა: აბხაზისა, ბექთაბეგიშვილმა, ლამბაშიძისამ და სხვა საპატიო პირმა. მცირე სუფრაზე, რომელზედაც მიართვეს ხილეულობა და შამპანიური, გენ. ჰასკელმა ბ-ნ გეგეჭკორთან ერთად დაათვალიერა საპატიო ყარაულის იუნკერთა სასწავლებლისა, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. გამოსალმების შემდეგ, საღ. 8 საათზე საჩქარო მატარებელი გაემგზავრა ბათომის მიმართულებით. ორკესტრმა გაცილების მარში შეასრულა.

◆ **მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე** ბ-ნი ევ. პ. გეგეჭკორი გუშინ სადარბაზოდ ბრძანდებოდა ბრიტანიის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარე მისტერ ოლივერ უორდროპთან.

◆ **მისტერ ოლივერ უორდროპი.** ამ მოკლე ხანში მიემგზავრება ერევანს.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის** მესამე ჩვეულებრივი რწმუნებულთა ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო გუშინ, გაიხსნება დღეს 11 საათზე მუშათა კლუბის დარბაზში

◆ **აგრონომიული ყრილობა.** მიწ. მოქმედების მინისტრმა დაამტკიცა დეკრეტის პროექტი სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობის მოსაწვევად ათ მილიონიან ფონდიდან საორგანიზაციო კომიტეტისთვის 25000 მან. გადადების შესახებ.

◆ **მიწ. მოქმედ. დაწესებულების დახმარება.** მიწად მოქმედების მინისტრმა წარუდგინა მთავრობას მოხსენება შესახებ მიწად მოქმედების სამინისტროს საცდელი დაწესებულების, ეროვნულ მამულების და სასოფლო მეურნეობის სასწავლებლების საჭიროებისათვის შეშის და ნავთის შესაძენად ათ მილიონიან ფონდიდან 1592356 მან. გადადებისა.

◆ **დანიშვნა.** გერმანიიდან დაბრუნებული აგრონომი იუკიონ ლომაური მიწ. მოქმ. მინისტრის განკარგულებით დაინიშნა სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულების ინსპექტორად.

◆ **აბხაზეთის სოც.-დემ. მოსალმება.** სოხუმიდან მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: „აბხაზეთის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობა სალამს უძღვნის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისას და პირობას იძლევა მას ყოველგვარი დახმარების აღმოუჩენს შემოქმედებით მუშაობაში და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისა განვითარებისთვის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის სულ გამარჯვებისაკენ მიჰყავს. ხელს აწერს ყრილობის პრეზიდიუმი.

◆ **რკინის გზის მასწავლებ. ყრილობის მისალმება.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის მასწავლებელთა პირველი მასსიური ყრილობა მხურვალედ ესალმება თვის ბელად მხცოვან მასწავლებლის და მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას სახით მთელ მთავრობის შემადგენლობას და უსურვებს მას რათა კვლავინდებურად ეძლიოს რესპუბლიკის მრავალ რიცხოვანი მტერი, რომ ამით გამტკიცდეს და აყვავდეს რესპუბლიკის [illegible] ვობა [illegible] სკოლა თავის მხრივ მასწავლებელთა ყრილობა მთელის ენერგიით ეცდება ემსახუროს საყვარელ რესპუბლიკას ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდით. ყრილობა იმედოვნებს, რომ მთავრობა როგორც აქამდე კვლავაც ყოველ მხრივ დაეხმარება მასწავლებელს რათა მან შესძლოს სახალხო სკოლის სათანადო დონეზე დაყენება. ხელს აწერს თავმჯდომარე ყრილობისა მდივანი.

## სომხეთში.

◆ **5 მილიონი მან კოოპერატივთათვის.** სომხეთის მთავრობამ დაადგინა გადასდოს 5 მილიონი მანეთი სომხეთის კოოპერატივთა კავშირისათვის.

◆ **ქალაქის თვითმართველობათათვის.** აქვე მთავრობამ დაადგინა აღმოუჩინოს ქალაქის თვითმართველობათ მატერიალური დახმარება.

## სტუდენტთა ცხოვრება.

◆ **საქონელი სტუდენტთათვის.** მთავრობამ ნება დართო სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობას რათა მან მომარაგების კომიტეტიდან მიიღოს 40 პროც. დაკლებით, თეთრეული, ზეწრები, ლეიბის პირები, ცხვირსახოცები, პირსახოცები, ფეხსაცმელის ტყავი და სხვა. ვინაიდან გამგეობას საკმაო ფული არა აქვს, რაც საქონლის გამოტანას აფერხებს, ამიტომ საჭიროა დღეს და ხვალ მსურველებმა შემოიტანონ ფული წინდაწინ სტუდენტთა სასადილოში.

◆ **საღამო კაბარე.** 18 ღვინობ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოში გაიმართება საღამო კაბარე-ვახშამით. ამავე სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად. საღამოზე სხვათა შორის დაუკრავს ზურნა. მოვახშმეთათვის გამზადებული იქნება 50 მაგიდა (თითო 4 კაცისათვის), თითო მაგიდა ღირება 100 მანეთად. მაგიდის ბილეთები საპატიო სტუმრებს კიდეც ეგზავნებათ.

## კრებები.

◆ შაბათს 11 ღვინობისთვეს 1919 წელ. საღამოს 5 საათზე თბილისის საეპარქიო ქალთა მერვე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამავე გიმნაზიის მშობელთა წრის საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მოქმედება წრის საბჭოსი და მე-2-რე არჩევნები. წრის საბჭო უმორჩილესად სთხოვს მოწაფეთა მშობლებს აუცილებლივ დაესწრნან ხსენებულ კრებას.

◆ **ქართ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების** მორიგი კრება მოხდება კვირას 12 ღვინობისთვეს საღამოს 8 ს. საპედაგოგიო ინსტიტუტის შენობაში (დიდი მთავრის ქუჩა № 91), რომელზედაც ექიმი მ. დ. გედევანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ბავშვის ასაკის ფსიხოლოგიის შესახებ. კრებაზე დასწრება მოქალაქეთაც შეუძლიათ.

## სამხატვრო ქრონიკა

**გ. ლეონიძემ** სთარგმნა შარლ ბოდლერის „ჩემი გაშიშვლებული გული", რომელიც მოკლე ხანში ცალკე წიგნად გამოვა. მანვე დრამატიულ სტუდიის დავალებით გადმოთარგმნა შილლერის ტრაგიკომედია „ჩინელი პრინცესსა ტურანდოტ".

# პროვინციის ცხოვრება

## ქ. ბათომი.

**ბ. სამხედრო გუბერნატორთან.** 6 ღვინობ. იყვნენ მაჰმადიან ქართველთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე და ქრისტიან ქართველთა საბჭოს თავმჯდომარე გრ. ელიავა.

ამ რამდენიმე დღის წინად ქობულეთში ასულა ინგლისის აფიცერი და გამოუცხადებია ხალხისათვის, რომ ამიერიდან ნაწილის უფროსად ის იქნება ამავე დროს, იქავე იმავე ხალხისავით წინანდელ „უფროს", დენიკინელ აფიცერს, განუცხადებია, რომ ისიც იქნება ნაწილის უფროსად. ამ რიგად, როგორც სჩანს, ქობულეთის უბნის უფროსად ორი უფროსი იქნება.

## ქ. ქუთაისი.

**ჯამაგირების მომატება.** ქუთაისის ქალაქის საბჭომ 2 ღვინობ. სხდომაზე მილიციის შემადგენლობას 1 ღვინობისთვიდან ჯამაგირები მოუმატა. თანახმად მომატებული ჯამაგირების მილიციის უფროსს მიეცემა თვეში 2500 მანეთი, მის უფროს თანაშემწეს კი — 1800 მანეთი სისხლის სამართლის მილიციის უფროსს მიეცემა 2000 მანეთი უბნის კომისრებს 1500 მანეთი და მათ თანაშემწეებს კი 1400 მანეთი.

**საფუთო გადასახადი.** განზრახულია ქუთაისში შემოღებულ იქმნას საფუთო გადასახადი.

[illegible] 5 ღვინობ. ქ. ქუთაისში ტან-ვარჯიშობის „შავარდენის" საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა ყულაბებით ფულის შეგროვება.

**ქალაქის კავშირის ლაბარატორია.** ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიიღოს თავის განკარგულებაში ქალაქთა კავშირის ლაბარატორია.

**აფთიაქში მოსამსახურეები.** თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა ქალაქის საბჭომ ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეებს თვეში 10.000 მანეთი მოუმატა.

# თეატრი და მუსიკა

## სახელმწიფო თეატრი.

**„ევგენი ონეგინი"** ორშაბათი 6 ღვინობისთვის საანგარიშო საღამო, უსათუოდ საინტერესოთ უნდა ჩაითვალოს, როგორც უმთავრეს პარტიათა შესრულების მხრით, ისე ანსამბლით ლევიცკის ანტრეპრიზას დაშლის შემდეგ სახელმწიფო თეატრში ისევ შევიდა ქ-ნი ვოლ-ლევიცკისა. რომლის ნაზი და მიმზიდველი, მეტად ფაქიზი მუსიკალური სმენა და მომხიბვლელი ეშხიანობა, ყოველთვის აჯადოებდა მსმენელს.

ეს მსახიობი, იმდენად კულტურული და შესანიშნავი არტისტია, რომ მისი თამაში ისევე მომხიბვლელია, როგორც მისი სოპრანო.

მისი ტატიანა დეტალერათ შემუშავებული სცენიური სახეა და ძალიან საინტერესო ქ-ნ ვოლ-ლევიცკის თავისებურ გადმოცემაში.

ამ მსახიობის სახელმწიფო თეატრის დასში ყოფნა უსათუოდ დიდი განძია და ქართული საზოგადოება იმედი გვაქვს ჯეროვანად დააფასებს მას. ქ-ნ ვოლ-ლევიცკის პ რველ გამოსვლას ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა.

ბ-ნ ზალიპსკი ჩინებული ლენსკია. მისი ხმა კიდევ უფრო ძლიერად სჭექს და ამ პარტიაში, განსაკუთრებით, მეტად სასიამოვნოდ იპყრობს მსმენელს.

ამ საღამოს ჩვენ პირველად მოვისმინეთ ბ-ნ ინაშვილის ონეგინი.

უნდა ვ ღიაროთ, მცირედენი შიშით ველოდით მას, რადგან ეს ახალგაზრდა მსახიობი, ქართული საზოგადოებას დიდ ყურადღებას იპყრობს და გვეშინოდა, რომ ისეთ რთულს პარტიაში, როგორიც ონეგინია, დამარცხებული არ გამოსულიყო.

საბედნიეროდ, მისმა ხმამ მოლოდინს გადააჭარბა. არტისტმა თავიდანვე დასძლია პარტიას და ბოლომდი ხმა ბოლომდი არ შესუსტებულა.

მართალია ონეგინის სცენიური სახე, ვერ იყო დაძლეული არტისტის მიერ, როგორც მისი ვოკალური მხარე, მაგრამ ეს ნაკლი ხომ ძალიან დიდ მომღერლებსაც ჰქონიათ. ინაშვილი კი მის ახალგაზრდობასთან, დაკვირვებული მსახიობიც არის და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სულ ახლო მომავალში, იგი უსათუოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საოპერო თეატრში.

სხვა ამსრულებლები გაცილებით უფრო სუსტნი იყვნენ, მაგრამ ანსამბლის, მაინც არა უშავდა და მასიური სცენები და ხორო სრულებით დამაკმაყოფილებელი იყო.

# სასამართლო

## ბინის რეკვიზიცია.

(დასასრული)

ქ. დ. ზელენსკის ვექილები—ნაფ. ვექ. შ. ალექსი-მესხიშვილი და ნაფ. ვექ. გეპშტეინი რუსის და კახიანის იმართ წარმოითქვა საპასუხო სიტყვებით ამტკიცებენ რომ 1917 წ. დეკემბრის 28 ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული წესები შეეხებიან არა მარტო ოთახების რეკვიზიციას არამედ ბინის რეკვიზიციასაც ეს სჩანს თვით საბჭოს განმარტებით ფურცლიდან. შალვა მესხიშვილი და გეპშტეინი აღნიშნავენ, რომ ქალ. გამგეობის, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, შეუძლიან მხოლოდ ბინებზე ზედმეტი პირები დაასახლოს და არა ის, რომ დასახლებულ ბინას გაუკეთოს რეკვიზიცია და შიგ მცხოვრებნი ქუჩაში გაჰყაროს. შემდეგ ზელენსკის ვექილები აღნიშნავენ, რუსიას საპასუხოდ, რომ რეკვიზიციის კანონი გამოიცა 1917 წ. მაშინ, როდესაც ჯერ საქართველოს რესპუბლიკა არ არსებობდა, ასე რომ არ შეიძლება მას ჰქონოდა ის მნიშვნელობა, რომელზედაც აქ მ. რუსია ლაპარაკობდა. ამ კონკრეტიულ შემთხვევაში საკითხი მოკლებულია სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, რადგან საქმე გამოწვეულია იმის გამო, რომ, თოფურიძეს არ მოსწონს ის ბინა, რომელიც მას [illegible] რეკვიზიცია [illegible] ჰქონდა [illegible] რომ ზელენსკი [illegible] წევრისაგან შესდგება, დასახლდეს მის თვის რეკვიზიციის მიცემულ ბინაზე ხოლო თვით თოფურიძემ კი ზელენსკის უკეთესი ბინა დაიჭიროს. ამასთან საფუძველს მოკლებულია ის განცხადება, თითქოს ზელენსკის ჰსურდეს თბილისიდან წასვლა. სასამართლოს ნაციონალიზაციის მიუხედავად, მას ჰსურს თბილისში დარჩენა. ზელენსკის ვექილები სთხოვენ სასამართლოს რომ გამოიტანონ პრინციპიალური დადგენილება, რომლის თანახმადაც ქალაქის გამგეობას არ უნდა მიეცეს დასახლებულ ბინის მთლიან რეკვიზიციის უფლება.

სამო ქო სასამართლომ დაადგინა, რომ ზელენსკის საჩივარი უშედეგოდ იქნეს დატოვებული.

# ვილსონის კანდიდატურა

**ტაგანროგი.** სექტ. 23. ნიუ-იორკიდან იუწყებიან ძალიან საეჭვოა, რომ ახალ არჩევნებში პრეზიდენტ ვილსონის კანდიდატურა წამოაყენონ.

პრეზიდენტ ვილსონს ამის გამო ესაუბრა მასთან მახლობელი პირი. საუბრის დროს პრეზიდენტს განუცხადებია, რომ მთელი მისი ზრუნვა შეიწირა მცირეწლოვან ბავშვმა. რომლის ფეხის ადგილზე ალბათ ჯერ კიდევ ბევრი ზრუნვა დასჭირდება.

პრეზიდენტი ბავშვად „ხალხთა ლიგას" გულისხმობს.

# ვილჰელმის საქმე

**ხავარტის მოხსენება.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ მთავარმა პროკურორმა სერ გორდონ ხავარტმა დაასრულა დავალებული მოხსენება, ვილჰელმის საქმის შესახებ. მოხსენება გადაეცემა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს. („სტამბულ")

**იტალეთი ვილჰელმის გასამართლების შესახებ.**

იტალეთის პალატის კომისია კაიზერის სასამართლოში მიცემის წინააღმდეგია. („მორნინ. პ.")

# ინგლისში

**ლლოიდ ჯორჯი და გამფიცველი კომიტეტი.**

ლონდონი, ოქტ. 6. ოქტომბრის 5-ს ლლოიდ-ჯორჯი ეთათბირა რკინისგზელთა გამფიცველ კომიტეტს, რომლის დროსაც გამოაქვეყნეს ფურცელი გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. შეთანხმების პირობები გამოქვეყნებული იქნება.

# დენიკინის ჯარები და ებრაელები

ცნობებით, დენიკინის ჯარები ებრაელთა ქალაქებს სცარცვავენ და ჟლეტავენ ებრაელებს. ეს დარბევები გაგრძელებაა პეტლიურას ჯარის მიერ ამას წინად მოხდენილ დარბევებისა და ოფიციალურად ნება დართულია დენიკინის მიერ. ებრაელების მიმართ დენიკინი ძველ რეჟიმს ალადგენს. მისი ჯარის კაცები პირდაპირ მოუწოდებენ დარბევისთვის. სექტემბერში მრავალი ათასი ებრაელია დახოცილი დენიკინის ბრბოები აცხადებენ, რომ ოქტომბერში ორჯერ მეტს დახოცავენ. დარბევის მომწყობთ და მონაწილეთ არავინ სჯის. საშინლად გაიზარდა, რომ მოსალოდნელია, ებრაულ მცხოვრებთა დასაცავად საქმეში საზავო კონფერენცია ჩაერიოს.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენ.).

ღვინობისთვის 8.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** ღვინ 7. ც ა. კ. ბ. გ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი.** არხანგელსკის მიმართულებით რკინის გზის გასწვრივ არტილერიის დახმარებით მტერი მძლავრად უტევს ჩვენს პოზიციას. მურმანისკენ, ორივე მხრივ მზვერავები ენერგიულად მოქმედებენ. დანარჩენ რაიონებში მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ფრონტი.** ლუგის დასავლეთით 30 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. გლოვისკენ მკაცრი ბრძოლით ჩვენმა ჯარმა მტერს ვარშავის რკინის გზის დასავლეთით დაახევინა და გლოვის სამხრეთ აღმოსავლეთით სოფელი აიღო. იაკობშტატისკენ ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. კიევის რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს მდ. ზდვიჟის აღმოსავლეთისკენ დაახევინა. მდ. ტეტერევის დასაწყისთან ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ხომალდი დავლუპეთ და [illegible] ნავი [illegible] რაიონში ვოზელეცისკენ მოწინააღმდეგე მდ ოსტერის იქით გადავდევნეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** სევსკისკენ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა სძლია და სევსკი აიღეთ. ლგოვისაკენ ბრძოლა სწარმოებს დმიტროვსკის სამხრეთ დასავლეთით 20—30 ვერსზე. კურსკისკენ ბრძოლა სწარმოებს ქ. კრომის სამხრეთით 20 ვერსზე. რკინის გზის რაიონში მოწინააღმდეგემ ჯავშნიან მატარებლის დახმარებით და სადგ. ზმეევკასთან უკან დაგვახევინა. დვინის ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსზე მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ. კასტორნისკენ ელეცის სამხრეთ დასავლეთით 40—50 ვერსზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება. ვორონეჟის რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პოზიციები დასტოვა. დონზე კოროტოაკადან ლისკამდე ბრძანებისაებრ ჯარი ახალ პოზიციებზე იხევს. მოწინააღმდეგის ცხენოსანმა ჯარმა აიღო ვორონეჟი და სად. ტრავსკაია და უმანისკენ უტევს. პავლოვის სამხრეთ აღმოსავლეთით 35 ვერსზე მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პავლოვსკი შეინარჩუნა და რამდენიმე ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაიხია. აქ ბრძოლა გრძელდება სადგ. კლეტსკის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე მდ. დონის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ და მდგომარეობა აღვადგინეთ. ცარიცინის ჩრდილო დასავლეთით არკანცევის რაიონში იერიშები მოვიგერიეთ.

**თურქესტანის ფრონტი.** ურალსკის რაიონში ალექსანდროვკაის ჩრდილო-აღმოსავლეთით 75 ვერსზე ბრძოლის შემდეგ დავტოვეთ ჩიჟინსკის ფრონტი. ურალსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ათ ვერსზე მენოვოი დვორის რაიონში შემოტეულ მტერს ვებრძვით. ორსკის ჩრდილო აღმოსავლეთით 70 ვერსზე მოწინააღმდეგის მცირე ბრბოებთან შეტაკებაა.

**რესპუბლიკელების ბლოკი**

**ლიონი.** ღვინ. 6. მომავალ არჩევნებისთვის პარიზში რესპუბლიკანელთა ჯგუფებმა ეროვნული ბლოკი შეჰკრეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ანტისემიტური ექსცესები**

სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კვლავინდებურად მძვინვარებს ანტისემიტური ექსცესები. დარბევები ისე

## ფრანგული პრესა.

**სპარსეთის შაჰი.**

სპარსეთის შაჰი ინკოგნიტოთ ჩამოვიდა პარიზში.

**გერმანეთის მთავრობა და ბალტიის ჯარი.**

გერმანიის მთავრობამ ფოშის უკანასკნელ ნოტაზე უპასუხა, რომ მან შეუწყვიტა სურსათის და იარაღის მიწვდენა და ჯამაგირის ძლევა ბალტიის მხარეში მყოფ ჯარს. ფონდერ ჰოლცის მაგიერ ებერგარდი დაინიშნა.

**ვილსონი.**

იუწყებიან, რომ ვილსონი ეხლა უკეთესად არ გრძნობს თავს.

## ლონდონის რადიოსადგურის ცნობები.

**ლიგის საბჭოს სხდომა.**

როგორც კი ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევა. შესდგება ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრება შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის იტალიის და იაპონიის და აგრეთვე 4 სხვა სახელმწიფოს—ბელგიის. ბრაზილიის . . .(გამოტ.) წარმომადგენლები, ხალხთა ლიგის საბჭო დაუყოვნებლივ განიხილავს რამდენიმე სასწრაფო საკითხს, ივნისის 28 მოწერილ ხელშეკრულების თანახმად, უნდა დაინიშნოს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიყვანს საზღვრის ხაზს საარის გასწვრივ დაინიშნება აგრეთვე კომისია დანციგში.

# გერმანიიდან დაბრუნებული ტყვეები

გაზ. „ერთობაში" გერმანიიდან დაბრუნებული ტყვე ფრიად საგულისხმო სიტყვებით მიმართავს თავის ამხანაგებს. სხვათა შორის ის სწერს:

„თუ რომ გვინდა ჩვენი ქვეყანა გადარჩეს ეკონომიურ გაკოტრებისაგან, თუ რომ გვინდა ჩვენი ჩამომავლობა უფრო მაგრად გაიმართოს წელში, საჭიროა ყოველმა ჩვენთაგანმა კულტურულ მეურნეობას მოვკიდოთ ხელი. მეურნეობა ეს უპირველესი საძირკველი ერის და სახელმწიფოს არსებობისათვის. სადაც რომ მეურნეობა ჩამორჩენილია, იქ ხალხს შიმშილისაგან მოსპობა მოელის. განათლებულ და კულტურულ ერის მეურნეობაში, შეიძლება მოუსავლობა იქნას, მაგრამ შიმშილობა ყოვლად წარმოუდგენელია. მიწა არის ცხოვრების წყარო და თუ ადამიანს ამ მიწის საიდუმლოება კარგად გაეგება, იმას მასზე შეუძლია უზრუნველყოფილად იცხოვროს.

ხუთი წელიწადია, რაც გერმანიის სახელმწიფოს მიწის მოსავალი სხვა სახელმწიფოებისგან არ შეუძენია, მაგრამ მათი მეურნული კულტურა თვით 70 მილიონიანი გერმანელები და 4—5 მილიონი სამხედრო ტყვეები შიმშილისაგან მოსპობას გადაარჩინა.

ჩვენი ქვეყანა მეურნეობისათვის პირველი ხარისხოვანია და ადვილათაც შეგვიძლია ეს მეურნეობა ავიყვანოთ გერმანიის მეურნეობამდე. მართალია ამისათვის ჩვენ საჭირო საგნები გვაკლია, მაგრამ არის საშუალებები: შევქმნათ ამხანაგობების სახით, რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი სოფლის მეურნე და ასეთი საშუალებით შევიძინოთ საჭირო იარაღები. ამნაირი კეთილ-საქმისათვის ჩვენი საზოგადოება და მთავრობაც კი დახმარებას აღმოგვიჩინეს. და მუშაობას ყველა თქვენთაგანი ადვილად შესძლებს. ეხლა ეს ასე მოკლედ მეურნეობის შესახებ და შემდეგისათვის ვეცდები აგიწეროთ გერმანიის გლეხების ცხოვრებიდან. ვეცდები უფრო ნათლად და გარკვევით დაგანახვოთ, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი თავიანთ უცხოურის ადგილებზე, როგორ და რის საშუალებით მოჰყავთ მათ სარჩოებელი მოსავალი.

ამასთან, ამხანაგებო, მინდა მოგაგონოთ გერმანიის ერის ზნე-ჩვეულება. თქვენ აქ კარგად დაინახეთ: იქ არ არის არავითარი ყვირილი, არავითარი უთანხმოება, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. თქვენ ყველა ახლო იყავით სოფლის ცხოვრებასთან. თქვენ კარგათ იცნობთ გერმანელ გლეხს, მუშას, ჩავადარს, გრაფს, პრინცს, ბარონს და სხვებს. ვისაც საკუთარი თავი აქვს კისერზე ის ბეჯითად შეხედავდა, თუ როგორი სულიერი განწყობილებაა მათ შორის, როგორი პოლიტიკური დამოკიდებულებაა მათში, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ ყვირილით და შეუგნებლობით არ კეთდება საქმე. იქ გლეხი თუ მუშა ერთ წუთსაც თავის სამუშაო დროს არ ჰკარგავს მოწინააღმდეგეთა ბრძო-

ლაში. იქ ასიბით და ათასობით არ ილვრება მოქალაქეთა სისხლი. მოხდა გერმანიაში რევოლიუცია, გადადგა ტახტიდან მთელი 12-ტი კაროლი თავის ვილგელმ მეორით, მაგრამ 6 კაცის მეტი არ უმსხვერპლია რევოლიუციის ტალღებს. შეიძლება ისიც მითხრას ზოგიერთებმა: გერმანიაში ჯერ რევოლიუცია არ გათავებულაო. სამაგიეროდ მე შემიძლია უპასუხო: ის არ მოხდება გერმანიის ერში, რაც მოხდა ჩამორჩენილ ქვეყნებში. მაგალითისათვის არის საჭირო მოვაგონოთ ჩვენი თვალით ნახული წარსული დიდებული ერის ცხოვრებიდან და მით ხელი შევუწყოთ ჩვენი ახალი თავისუფალ სახელმწიფოს აღორძინების საქმეს. ურჩიოთ ყველას მოკიდონ ხელი პატიოსან შრომასა და გარჯას. სადაც ხალხი პატიოსანი მშრომელია და ერთ წუთსაც არ კარგავს უბრალოდ, იქ არ შეიძლება უსიამოვნებაზე ადამიანმა იფიქროს. იქ არ შეიძლება სიღარიბემ დასძლიოს ადამიანს".

## ბაქოში დაზარალებულ ქართველთა საყურადღებოდ

(წერილი რედ. მიმართ)

შარშან სექტემბერს ოსმალების მიერ ბაქოს აღების დროს, როგორც ყველას მოეხსენება, სხვებთან ერთად დაზარალდა მრავალი ქართველი. თუ ყველა არა, დაზარალებულთა დიდმა უმრავლესობამ ბაქოს თავი მიანება და საქართველოში გადმოსახლდა. მაგრამ წამოსვლამდე მათ ბაქოს ქართულ ეროვნულ საბჭოს დაუტოვეს განცხადებანი ზარალის რაოდენობის შესახებ. იმ დროს არავინ ფიქრობდა ზარალის ანაზღაურებაზე, მაგრამ შემდეგ, როდესაც ბაქოში ინგლისის ჯარი მოვიდა, ამ ჯარის შტაბი შეუდგა ზარალის გამორკვევას იმ აზრით, რომ ოსმალეთს გადაახდევინოს ფული და დაზარალებულთ დაურიგოს. დაარსდა ეგრედ წოდებული საკონტროლო კომისია ინგლისელი ოფიცრის თავმჯდომარეობით დაზარალებულთა განცხადებების შესამოწმებლად. ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ამ კომისიას გადაეცა ქართველების მიერ დატოვებული განცხადებანი. საშვებით არ დაუმთავრებია, მაგრამ იმათ, ვისი განცხადებების განხილვაც მოასწრო, დაურიგა განსაკუთრებული მოწმობები („ჩეკები"), რომლითაც ეს დაზარალებულნი მიიღებენ ფულს იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთს მართლაც გადაახდევინეს ზარალი (ბაქოში დაზარალებულთა პრეტენზია ბევრად აღემატება ნახევარ მილიარდ მანეთს). რადგან საქართველოში გადმოსახლებულთათვის დიდ ხარჯს მოითხოვს ბაქოში ჩასვლა, ამიტომ, ეროვნულ საბჭოს თხოვნით კომისიამ მას გადასცა იმ ქართველების მოწმობანი, რომელთაც განცხადებები საბჭოს დაუტოვეს. ეხლა ამ მოწმობების მიღება დაზარალებულთ შეუძლიანთ აქ, თბილისში—წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში შიო დედაბრიშვილისაგან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 12-დან 2 საათამდე. მოწმობის მიმღებმა უნდა წარადგინოს ვინაობის დამამტკიცებელი (პასპორტი ან სხვა რამ), ხოლო ვინც სხვას მიანდობს მოწმობის აღებას, საჭიროა სათანადო დაწესებულებისაგან მიღებული რწმუნების ქაღალდი.

ვიმეორებ, აქ მოწმობის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ იმ დაზარალებულ ქართველებს, რომელთაც განცხადებანი ბაქოს ეროვნულ საბჭოს დაუტოვეს. ბევრმა ქართველმა განცხადება პირდაპირ საკონტროლო კომისიას გადასცა და ამათ მოწმობანი ბაქოშივე უნდა მიიღონ.

ბქოს ეროვნულ საბჭოს მონდობილობით საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ილია აგლაძე.

ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ი. ა.

## წერილი რედ. მიმართ

პირველ ღვინობისთვეს სოფლიდგან დეპეშა მივიღე: „სახლი გაძარცვეს, ამოდი უსიკვდილოთ". ეს ამბავი მე არ დავიჯერე, მეგონა,—ხუმრობენ, იქნებ ამით ჩემი მისვლა უნდათ-მეთქი. ახე გასინჯეთ, მახლობელ ამხანაგებსაც კი ვერ გაუზიარე ჩემი დაღონება,—იქამდის დაუჯერებლად მიმაჩნდა ამ უცნაური დეპეშის შინაარსი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ვაჟი გავგზავნე გაეგო რაში იყო საქმე.

დაუჯერებელი ამბავი მართალი გამოდგა: ჩემი სახლი გაუძარცვავთ.

[illegible] რა დანაშაული [illegible] მე რამე საფრთხე უნდა მომელოდეს სოფელში? ჩემს სახლ-კარს ვინმე მტერი უნდა გამოსჩენოდა? მე ვცდებოდი, რასაკვირველია. თურმე ხალხის უმადურობას საზღვარი არა ჰქონია! მტერს არა სძინებია და ჩემი სახლიც გატეხეს და გაძარცვეს. მკითხველი ჩემს დაუჯერებლობას გულუბრყვილობაში ჩამომართმევს და, ვგონებ, სთქვას: „მაილი ქართლ-კახეთი აიკლეს, მრავალი ოჯახობა ამოწყვიტეს და შენ რა ღვთის ნათლული იყავ, რომ ვერ შემოებედნათო".

დიახ, ბატონებო, სოფელ ერთაწმინდაში ბევრი ფიქრი, ბევრი კეთილი სიტყვა, დიდი ამაგი დამითესია და ყველა ეს მაძლევდა საბუთს მეფიქრა, რომ მე აქ ღვთის ნათლული ვიქნებოდი.

გნებავთ იცოდეთ რა ამაგი და სიკეთე დამითესია ჩემს სოფელში; მაშ ყური მაიხოვეთ!

10 წელიწადია სოფელში დავბრუნდი; აქ მე თავშესაფარად სამი პატარა ოთახი გავაკეთებინე ერთ გლეხ კაცს მამეულ ნაჭერ მიწაზედ. მას დღეს აქეთ მე თათხაშვილის მადლობელი ვარ, ის ჩემს მზესა ფიცულობს ამ დღიდან გავხდი მონაწილე სოფლის ლხინისაც, ჭირისაც. მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებდა: ვხედავდი, რომ სოფელი ჩაჭერილი ჰყავდათ ხელში. მევახშეებს; ყოფილა მაგალითი ათლიაო სარგებელი აი ამისთვის არსდება აქ სასოფლო ბანკი და ამ საქმის განხორციელებაში თუ პირველი არა, მეორე ხომ ვიყავ? შემდეგ განვიზრახე საჭიხველოს გახსნა და კიდეც ავასრულე, რასაკვირველია სხვისა კეთილი დახმარებით მედგა მხარში; ხოლოო ამ საქმეშიაც თუ პირველი არა, მეორე ხომ ვიყავ.

დაარსდა კოოპერატივი და აქაც ჩემი გულწრფელობა და კეთილი რჩევას არ მოუკლია. მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან, რაც ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ გაკეთდა ამ სოფელში!

ერთაწმინდაში ოცდა თხუთმეტი წელიწადი სასმელი წყალი არ იყო; მცხოვრებლები დიდს გაჭირვებას განიცდიდნენ. ამ საქმეზედ ხუთჯერ-ექვსჯერ დაწერილა კიდეც სოფლის განაჩენი ფულიც კი შეკრებილა წყლის საჭიროებისთვის, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ [illegible] ფულსა; ეს შეკრებილი ფულებიც ამათ მიურთმევიათ. სოფელს საქმე შეუძლებლად მიაჩნდა ნდობა დაკარგული იყო და ამაზედ ლაპარაკი ბევრს სიცილად არა ჰყოფნიდა. იცით რას ამბობდნენ? ცოლ-ის კაბებს როცა გაჰყიდით, მაშინ მოიყვანთ „წყალსაო", — აი, ამის ანა მოლაპარაკებით მითრევდნენ საქმესა. გადავწყვიტე, რათაც უნდა დამჯდომოდა, ეს საქმე კი სისრულეში მომეყვანა. ვიცოდი გლეხ კაცი ფულს არ გამოიტანდა; ფული კი საჭირო იყო; უნდა გვეყიდნა მით, გაგვესტუმრებინა კალატოზი თავადაზნაურობის სამეურნეო კომისიამ ინჟინერ დიასამიძის წყალობით მოგვცა ორასი თუმანი და გაკეთდა კიდეც საქმე.

როცა ფული ვიშოვნე, გლეხკაცობა უფრო ნდობით და ხალისიანად წამოვიდა სამუშაოდ. ფული სამეურნეო კომისიას სასოფლო ბანკში შევატანინეთ, ამოვარჩევინე კომისია და მათ მივანდეთ ფულის ხარჯვა. სამჯეროთხჯერ ინჟენერი დიასამიძე თბილისიდან ამ საქმისთვის შევაწუხე და მოვიყვანე სოფლად, მოიტანა კაცმა საზომავი იარაღი, დაზომა სიმაღლესიღრმე, აწონ-დაწონა, შეადგინა პროექტი და სოფელიც შეუდგა მუშაობას; ღ როგამოშვებით პატიოსანი კაცი მოდიოდა და ხელმძღ ანელობდა მუშაობას. მთელი ორი წელიწადი ვეწეოდი წყლის საჭიროებაზედ პროპაგანდას; მთელი ხუთი თვე აპრილის 7 სექტემბრის 15-დე მუშებთან ერთად მეც, განახევრებულმა კაცმა, ცის ქვეშ გავატარე, ჩემზედ ადრე სამუშაოზედ არავინ გადიოდა; მე ვიყავ მათი მეთვალ-ყურეც, მაგინებელიც, მაწუხებელიც, ბევრი უსიამოვნება, ლანძღვაგინება, შიშშილი, წვიმა ვაი-ვაგლახი გადავიტანე და საქმეს კი ბოლო მოუღე; ეხლა სოფელში ხუთ ალაგას გამოდის წყალი,—ორგან „კრანტია", გაკეთებული, ხოლო სამგან მუდმივ გამოდის მილით აუზებში.

ასე გაკეთდა ეს შეუძლებელი საქმე. მაგრამ ეს არაფერი: წრეულ მთელი ზაფხული იმის პროპაგანდას მოვინდომე, რომ გაკეთდეს დიდი წყალ-შესანახი აუზები და ზაფხულში რომ შრება სარწყავი წყალი, აქედან მოირწყოს მინდორ-ველი; ხალხმა დამიჯერა, თუმცა აქაც გამოჩნდნენ ურწმუნონი; ბევრი ჩიჩინი დამჭირდა. ჩემი ცაცხვა-ხა-[illegible] გორი" და ამ ქაღალდს პირველმა მე მოვაწერე ხელი. ამოვირჩიეთ სამი კაცი და მივანდეთ მათ საქმე. ყველა ამ მუშაობაში, რასაკვირველია, მე მარტო ვიყავ; ჩემთან ძალიან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად ინჟენერი დიასამიძე და პ. გოთუა. პ. გოთუას ცოლშვილი ხუთი წელიწადი ზაფხულობით იქ მოდიოდა; გოთუაც მალ-მალე მოდიოდა ოჯახში.

ყოველ შემთხვევაში მე რომ არ ვყოფილიყავ, ამათ ხომ არც კი იცოდნენ ერთაწმინდის არსებობა?

ესენი მიდგნენ მხარში, ესენი აორკეცებდნენ ძმური სიტყვით რჩევით ჩემს ენერგიას, ესენიც უფლრეს მადლობის ღირსნი არიან და როგორც მიწამეთ ჩემს სოფლად მუშაობისას განზრახვათა სიკეთეს, მოვიწვევ დაადასტურონ საქვეყნოდ, გავაზვიადე მე აქ ცნობა, თუ ჩემი ამაგი სოფლად უფრო მეტის ღირსი და მეტი დასაფასებელიც იყო? ვიწვევ მოწმად აგრეთვე მასწავლებელს ვ. ჟამუტაშვილს და მთელ სოფელსაც.

ამ ათ წელში არ მახსოვს ვისთვისმე მაღალი, ცუდი სიტყვა მეთქვას, იესო ქრისტე არ ვიყავ, მაგრამ იესობას კი ვეწეოდი, ყოველთვის დარიგება, ძმური სიტყვა, მეზობლობის გაწევა,—თუ ესეთი არ იყო ჩემი იქ ყოფნა, წამოდგეს სოფელში ერთი ვინმე, გამამტყუნონ და ჩამქოლონ.

ან იქნებ, ვინმე დიდ მემამულეთ დამსახა?

ან იქნებ ვისგანმე ან ძალა, ან საძოვარი ავილე? ან იქნება ვისგანმე რამე ვიყიდე, ან ვამუშავე და გასამრჯელო არ მივეცი? განა ჩემისთანა პატარა კაცს მოეთხოვებოდა კიდევ მეტი რამე? ყველა ამის შემდეგ ჩემს ქოხს რამე საფრთხე უნდა ჰქონოდა და დამართოდა? მაშ ვის, რაზედ და რისთვის უნდა გეეტეხა და გეეცარცვა ჩემი ქოხი? ნუ თუ ვინმე გამოვა იმისთანა მახინჯი, იმისთანა თავზედ ხელ-აღებული, რომ ყველა ჩემი კეთილი საქმე და პატიოსანი განზრახვანი სიბოროტედ ჩამითვალოს?

მაგრამ აკი მოგახსენეთ, სოფლის უმადურობას საზღვარი არა ჰქონია, მისი გულზვიადობა ოკეანეს უფსკრული ყოფილა. მართალია, სოფლის ჭირვარამი გულით მატარებია; მაგრამ გამოგიტყდებით, მე დანაშაულიც მიმძღვის: ჩემმა გულმა [illegible] სიყვარული [illegible] სითავლილით რასაც იგინი ეწევიან სოფელში, ავდექ და „საქართველო"-ში (სამი კვირის წინად) წერილი მოვათავსე „სინამდვილე სოფლად". ყველა იქ ნათქვამზედ პასუხს მე ვაგებ. და თუ ჩემი სახლის გაძარცვა პასუხია იმ წერილზედა? რა სისაძაგლეა!

მაშ სად ეცხოვრება შეგნებულ კაცს და ვის ვთხოვოთ მფარველობა? სახლში რომ ვყოფილიყავით, ხომ ყელებსაც დაგვჭრიდნენ, ასეა თუ არა? თუ ასეა, სწორედ საშინელებაა!

ი. კარგარეთელი.

## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სად. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სად. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

მოდის თბილისში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | სად. | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | სალამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | სალამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის სალოღლიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | სად. | 8 ს. | 4 წ. |

თბილისი-ხაშური

გადის:

№ 4,3 ს. შუად. 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 [illegible] საჯა- ფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.


მედიცინის დოქტორი
**გ. ა. ახვერდოვი**
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეთი
**ექ. პ. ტუშელაშვილისა**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე სალამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მებრაზიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და სალამოს 6 9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის [illegible]
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და სალამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.


საქართველოს მთავრობას გერმანიისა [illegible]

## მიწის გარშემო

(გაგრძელება)

11. კართუბანი. მოსახლეობენ თათრები. 1914—16 წლებში კართუბანში ითვლებოდა ოფიციალურად 154 კომლი მცხოვრებლები, დღეს კი კართუბნის გარდა თათრების სოფლებია გაშენებული: ბუტულონი (ადი ჩალი), დიდი ველი, კაბალი და პატარა ველი. ამ ხუთ სოფელში თათრები ითვლება—335 კომლ. ასე უცებ გამრავლებისა არის მიზეზი ჯერ ერთი, რომ ძველი მთავრობის დროს ცდილობდნენ დაემალათ რიცხვი მცხოვრებლებისა და მეორისა,—რომ დღეს გაიგეს, მიწა ეძლევათ ყველას მცხოვრებთა რიცხვის შესაფერათ და ერთი ოჯახი გადაიქცა ორ და სამ ოჯახათ და მასთანავე დაბადებულებიც გამომზეურდნენ.

კართუბანი მდებარეობს ბაისუბნის ბოლოს ერთი ვერსტის დაშორებით მდ. კაბლის პირას. შენობები ქვიტკირისაა, მომეტებული წილი კი ღარიბათაა შენობები—უსუფთაოთ და უწე სრიგოდ.

თათრები ისე მუყაითად არ მისდევენ ხვნა თესვას, როგორც იმერლები, მესაქონლეობას ეჭიდებიან და ბინები აქვთ გაფანტული როგორც ნატრუსებში (ტყე კაბლის პირას) ისე ბუტულინის მხარეში.

მომეტებულ წილს სახნავ მიწებს თათრებისას იმერლები მუშაობენ, თათრები მხოლოდ ხვნენ, რადგან საქონელი ბლომად ჰყავთ, დამუშავებით კი იმერლები მუშაობენ; მოჰყავთ სიმინდი, პური და ნახევარი მიაქვთ თათრებსა. თათრებს ტყეებში ბინები აქვთ გაფანტული ბუტულიანში, ნატრუსებში და სხვ., სადაც ყაჩაღები თავს ინახავენ. მეზობელ სოფლებში იტაცებენ საქონელს და ამ ბინებში ჰყავთ დამალული. ვერასგზით ვერავინ მიაგნებს ცხოვრება მათ პირველ ყოფილი ადამიანების მგზავრია. უღრან-მაყვალ ტყეში დიდი ხეების ძირას შემაზღუდულია ფიჩხით ბაკი, სადაც საქონელი ჰყავთ ღამე-გარს შემორტყმული ავის ძაღლებით.

საჩხნაძიანო მამულში ყველაზედ ადრე ესენი დასახლდნენ და ეხლა ხუთი სოფელია, რომელსაც ზომით უჭირავს 2400 დეს., უმეტესი წილი ტყე, საძოვრები და დაუმუშავებელი ადგილები უკავიათ.

გარდა სამი სოფლისა კართუბნის კაბლის და დიდი ველისა, სხვა სოფლებში საქონლის ბინები აქვთ.

დიდი ველში და ვართუბანში თათრებს შესყიდული ჰქონიათ—90 დეს. სახლ. მიწები

12. ანდრონიკაანთ მამული. მდებარეობს საჩხნაძიანოს გვერდზედ, მისი სამზღვრებია. აღ. მდ. კაბალი, დასავ. ძველი გავაზის მამული ჩდიომ. დაღესტნის მთის ქედი და საძხრ. მდ. ალაზანი. ამ საზღვრებ შიგნით ზომით შეიცავს—8,271 დეს. ამაში სამი წილი გამინდვრებული სახნავი მიწებია ერთი წილი კი ისევ ტყეა. ორი საზოგადოება არის აფენისა და ლელიანისა, სადაც შედის 28 სოფელი, რომელშიაც მცხოვრებნი ითვლებიან 1000 კომლი, ამაში ქართველია 577 კომლი, ოსი კი—423 კომ. ამ სოფლებს გარდა ანდრონიკიაანთ მამულზედ არის გაშენებული და კართუბანის საზოგადოებაში შედის: ეშმაკის ყური—21 კომ., ზ. და ქ. ხეჩილი—22 კომ, და ფონა—61 კომ., სულ 104 კომლი ოსი ითვლება.

ანდრონიკაანთ მამული თითქმის გლეხებს ჰქონიათ მეტი წილი შეძენილი ბანკების საშუალებით დღეს აქ მამულის ვალს გლეხები ხდილობენ.

ამ ცნობების მიხედვით 110 კომლი ფლობელობს 8.000 დეს.—271 დეს. კი წვრილ მემამულეებს ეკუთვნით. მაშასადამე ორთა-შუა რიცხვით კომლს მოსდის 7 დეს., თანახმად მიწის კანონისა ნორმა უსრულდება ყველას, მაგრამ შიგა-და-შიგ, როგორც საერთოდ ყველგან,—ისე აქ მეტ-ნაკლებობითაა განაწილებული მიწები.

ეს ყოველთვის ასე იქნება იმ ძალთა მიხედვით, ვის რა ძალა შესწევს ჯანში.

გარდა ამისა საჩხნაძიანოსა და ანდრონიკაანთ მამულებს შუა ძევს 300 დეს. სახაზინო ტყე, აგრეთვე ჩრდილოეთისკენაც ჰსაზღვრავენ სახაზინო ტყეები და აქაური მცხოვრებნი სარგებლობენ ამ მამულებით, ასე რომ ესენი ვიწროობას არ განიცდიან.

რაც შეეხება მათ მოსახლეობას და ეკონომიურ ცხოვრებას, არ ითქმის, რომ ღარიბნი არიან, პირიქით მომეტებული წილი შეძლებულნი არიან.

მცხოვრებნი გადმოსახლებულნი არიან მეტი წილი გორის მაზრიდან და მისდევენ უმთავრესად ხვნა-თესვას, მოჰყავთ სიმინდი და პური.

—

13. ტყეები. მთის ტყეები შეიცავენ ზომით—24.019 დეს. გარდა იმ სახაზინო ტყისა, რომელიც მდებარეობს ანდრონიკაანთ მამულებს გარშემო; ვაკე ტყესაც უკავია 27,833 დეს.

ვაკე ტყე კიდეც შეთხელებულა, რაც კი იქ მასალა იყო გაიზიდა, მხოლოთ შესას მასალა-ღა დარჩა, რასაკვირველია არიან კიდევ შენახული კუთხეები ამ ვაკე-ტყისა, სადაც ჯერ კიდევ უხვედრია ადამიანისთვის.

რაც შეეხება მთის ტყეებს მდიდარია სხვა-და სხვა მცენარე ხეებით: წაბლს, კაკალს ყოველს ნაბიჯზედ შეხვდებით, სხმოიარე დროს მცხოვრებლები კაკლებს ბერტყამენ, ხან და-ხან კი ვინც ბერტყვა არ იცის, ძირში სჭრის ამ უზარ მაზარ ხეს და წაქცეულზედ ჰკრეფავს კაკლებს.

თელა, ცაცხვი, მუხა აუარებელია და უბან-უბან შეხვდებით. არის ერთგვარი ხე, ეწოდება „ბოგვი" თეთრი ფერისა, უზარ-მაზარია, დიამეტრი 38 ვერშ. აღსწევს.

მთის ტყეებით დაფარულია დაღესტნის უღრანი ხევები, საიდანაც მომდინარეობენ: მაწიმი, ლაგოდეხის წყალი, გურგენიაანთ ხევა, ბაის უბნის წყალი, კაბალი, აფენის წყალი და სხვ

საზოგადოთ ტყის შენახვას და გაფთხილებას მცხოვრებლებს შორის ყურადღებას არ აქცევენ და არც იციან ტყის მნიშვნელობა.

აი, ამ უცოდინრობით ტყეს ეძევებიან ველურად, იჩეხება წარა მარად, მასთანავე ამზადებენ ხე-ტყის მასალას და ზიდვენ გაღმა კახეთს სოფლებში აფენის გზით კომისრების ბარათებით. ტყის გამგე და მცველები არა სჩანან, არც შესწევთ მათ ძალა ტყის შენა-

ხვისა.

—

14. გლეხების ეკონომიური მდგომარეობა.

რასაკვირველია 3,450 კომლს გადმოსახლებულ გლეხებისა და მათი ახალი ცხოვრების მოწყობისა, საჭიროა ეკონომიურის მხრივაც შევეხოთ.

12—18 წელიწადია, რაც ეს ამოდენა სოფლები გაშენდა და ასე სწრაფად მათი დოვლათი იზრდება. ეს დრო ძალიან ცოტაა ამისთანა ცხოვრების შესაქმნელად, მაგრამ პირუთვნელად უნდა ვაღვიაროთ, რომ ქართველ ხალხს შესძლებია ამ ცოტა დროში ასეთი სოფლების აყვავება, როგორც არიან: შრომა, კავშირი, ბაისუბანი, მსხალიგორი, აფენი, ლელიანი, კარსუბანი და სხვა.

რომ იტყვიან აღთქმის ქვეყანაში გადავსახლდეთო სწორეთ ასეთი ბედი ეწვიათ აქაურ გადმოსახლებულ გლეხებს.

გადმოიხვეწნენ იქიდან, საიდაც მათ მამამე აუტანელი უღელი ადგათ. ყოველივე გადასახადისაგან განთავისუფლდა აქაური ახლად მოწყობილი სოფლის მუშაკი, მას აღარ მიადგებიან კარს და აღარ უძახიან: „გამოიტა"! მათმა ფარდაგებმა და ქვაბებმაც მოისვენეს, ჰილობებს ხომ ვეღარ დაინახავთ მათ სადგომებში, ან რათ იკადრეან.

იქ თუ, საიდანაც გადმოსახლდნენ, ერთ დღიურს რვა უღელი უნდოდა, აქ სამი უღლით ჰხნავს და მოსდის ერთი ორათ და სამათ მეტი, ვიდრე იქ,—სადაც წინად ტანჯვითა ა წვალებით სარჩო ძლივს მოჰყავდა.

სადაც კი გაიხედავთ აქეთ სოფლებში, ყველგან სალეწი მანქანები უდგიათ და ლეწვენ ჰირნახულს, კალო იშვიათია, ბზე ისე არ სჭირდებათ საქონელს, ვინაიდან ზამთარ-ზაფხულ თითქმის საქონელი საძოვარზედ დადის.

წელს კი მეტად დიდი მოსავალი მოეიდა აქეთ მხარეს, ბევრს 100,000—300,000 მანეთის ჰინახული და ზოგსაც ნახევარ მილიონის მოუვიდათ. აქეთ იშვიათად შეხვდებით ღატაკსგასაწყლებულს კაცს. მათი ჩაცმულობა, მათი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი, სიტყვა პასუხი სრულიად გავიწყებინებს ქართლელ დაჩ ჩავებულ გლეხს.

ახლა ნახეთ მათი სამეურნეო იარაღები, მშვენიერათ ნაკეთები ურმები, გუთნები, თუ სხვა! და ყოველივე ამას ატყვია, რომ კმაყოფილი ხელი მუშაობს.

ან მათი ქორწილი, ჯირითი, პურის პატივი,—ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი ეკონომიურად წელში გასწორებულია და აღარავის მოვალე არ არის.

ფულს კი მაინც მაგრათ უჭერს ხელს, დასტა-დასტა ჩვრებში გახვეული სადმე სკივრის კუნჭულში, ან ქილაში ტახტის ქვეშ მიწაში აქვს ჩაფლული. არც კი იცის, რამდენი აქვს, თუმცა ათი-ათასობით ლაპარაკობს.

ამათაც დღე გაუთენდათ! და მადლობ შენ უფალო, რომ ეხლა მაინც ვნახე ეკონომიურად წელში გასწორებული გლეხ-კაცი და რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ბურჯს.

— ქორწილში უნდა მეწვიო, ჩემი მხრისა ხარ და უნდა დახედო ჩემს ოჯახს.

— მერე ამისთანა სიძვირეში ქორწილს რხდი?

— მაშ რაუყო, მეზობლებში ხომ არ გამოვწყდები? ქორწილი მიჯდება ორი ათასი თუმანი.

— როგორ, ორი ათასი თუმანი?! განა მაგდენი უნდა დახარჯო?

— ეს კიდევ ცოტაა, თუ ძალიან არ მოვიჭირე, მარტო ღვინო 500—600 თუმნისა მჭირდება.

გაიარა ხანმა, ყველას „ისპანკა" დაერია.

— როგორ გყამს სახლობა?

— წუხელს სახლში არ ვყოფილვარ, წისქვილში ვიყავ, ფქვილები მიმაქვს გაღმა.

— რისთვის?

— ღვინოზე უნდა გადავცვალო.

— ქორწილისთვის გენდომება.

— არ ვიცი, ღმერთი რას ინდომებს, მაინც მომიკვდება ვინმე ღვინო დამჭირდება, ცოცხალი მეყოლება კიდევ, ღვინო დამჭირდება. ფილოსოფოსურად დაათავა თავის სიტყვები და გაუდგა თავის გზას.

(შემდეგი იქნება).

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.